სპეციალური გაზეთი

№41 (591) • 16 დეკემბერი, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ნაცმოძრაობის დასრულების დრო დადგა

და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ!

ის, რაც სხვაგან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა, საქართველოში რატომ არის სიტყვის თავისუფლება?

გრიგოლ ვაშაძე „ნაცმოძრაობიდან“ წავიდა!

„ნაცმოძრაობავ“, დაგაჯდა სიკვდილის ბუზი?

ეს ცოდვის სახლი, ეს მორგი, ეს კრემატორიუმი, სახელად „ნაცმოძრაობა“, ინგრევა

რასაც ოპოზიცია აკეთებს, ეს არის საბოტაჟი.

ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოიძიოს, რა ძალები დგანან ამ საბოტაჟის უკან!

არ არსებობს ყოფილი „ნაციონალი“, ისე, როგორც არ არსებობს ყოფილი „კაგებეშნიკი“

სააკაშვილი: ჩემი ბოკერია ჩემთან!

უკულმა დაწერილი წერილი უკულმართებზე

სიკეთის გაკვეთილი

დიმიტრი დუგლაძის ხსოვნას

კაცი, რომელიც თავისი სიკეთის გაკვეთილით სულ „მაიძულებს“, ადამიანებს იმ მადლის ნაწილი ვაჩუქო, რომელიც მან უცნობ გოგონას ანდერძივით დამიტოვა...

რაც დღეს საქართველოში ხდება, პირდაპირი გამოძახილია იმისა, რაც ხდება ამერიკაში

ანარხისტი შალალო

მანდატდახეულები და შუბადახეულები

წყალი – ეროვნული სიმდიდრე

დიდსულოვანი დიქტატორები

თუ გსურს თქვენს სულში შენარჩუნდეს მშვიდობა, ისწავლე დამოუკიდებლად აზროვნება

ეფექტური პრეპარატი კოვიდ-19-ის წინააღმდეგ

ნაცმოძრაობის დასრულების დრო დადგა და ეს შანსი საქართველომ ხელიდან არ უნდა გაუშვას!

ის, რაც სხვა სახელმწიფოებში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა, საქართველოში რატომ არის სიტყვის თავისუფლება?

ვახტანგ ხარჩილავა:

არ დავმალავ — ძალიან გამიხარდა, მეათე მოწვევის პარლამენტში „ნაცმოძრაობის“ დეპუტაცია რომ ვერ ვნახე.

ვისურვებდი, რომ „ნაცმოძრაობა“ საერთოდ არასოდეს მენახოს საქართველოს პარლამენტში.

მერწმუნეთ, ასეთი სურვილი არა მარტო მე, არამედ საქართველოს ძალიან ბევრ მოქალაქეს აქვს და არა იმიტომ, რომ მე და ამ მოქალაქეებს ერთპარტიული პარლამენტი უფრო მოგვწონს, ან განსხვავებულ აზრს ვერ ვეგუებით.

მეც და ეს მოქალაქეებიც ვერასოდეს ვერ ვაპატიებთ „ნაცმოძრაობას“ იმ შეშზარავ დანაშაულებს, რაც მას ქართველი ხალხისა და საქართველოს წინაშე აქვს ჩადენილი.

ეს ისეთი დანაშაულებია, რომელსაც ვერაფერი გადასწონის, რომელთა გამოსყიდვა და გადაფარვა არაფრით არ შეიძლება.

აი, ეს ბოროტი ძალა კვლავ ხელისუფლებისკენ მოისწრაფის და, ჰოი, საკვირველებავ, 31 ოქტომბერს ამ ძალამ ხმათა 27% მიიღო და ესეც ეცოტავება — არჩევნები გაგვიყალბეს, თორემ უფრო მეტმა ადამიანმა დაგვიჭირა მხარიო.

მე და ჩემნაირებს არ გვჯერა, არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ამ მკვლელებისა და მოძალადეების პარტიას 27%-მა, ანუ დაახლოებით, 500 000-მდე ქართველმა მისცა ხმა.

მე და ჩემნაირებს ნამდვილად არ გვემეტება ეს ნახევარი მილიონი ქართველი იმ მკაცრი შეფასებისთვის, რომელსაც ისინი იმსახურებენ — როცა მკვლელებს უჭერ მხარს, შენც მკვლელი და ყველა იმ დანაშაულის თანამონაწილე ხარ, რაც მათ ჩაუდენიათ.

თუმცა, ვფიქრობ, მთლად მათი ბრალი არ არის ის, რაც მათ თავს ხდება.

საქმე ის არის, რომ ამ რვა წლის განმავლობაში ქართულმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა ამ ადამიანებისთვის ეჩვენებინა „ნაცმოძრაობის“ ნამდვილი სახე, მისი სისხლიანი ბიოგრაფიის ამსახველი სრულყოფილი და ობიექტური ანალიზი.

ის, რაც ამ 500 000-მა ადამიანმა იცის საკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ შესახებ, მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებია და ისიც ალაგ-ალაგ რეტუშირებული.

არსებობს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გაბნეული ცალკეული პუბლიკაციები, არსებობს სატელევიზიო სიუჟეტები, არსებობს ზედაპირული და ზერელე შეფასებები, მაგრამ არ არსებობს ერთად შეკრებილი დიდი საბრალდებო დასკვნა, რომელიც ერთად მოუყრიდა თავს ყველა იმ დანაშაულს და ამ დანაშაულის ჩამდენთა ბრალდებას.

ასეთი დასკვნა რომ არსებობდეს, დღეს საქართველო სულ სხვა რეალობაში იცხოვრებდა და არც იმაზე მოუწევდა დავა და კამათი, „ნაცმოძრაობამ“ მართლა 27% მიიღო თუ უფრო მეტი.

არ იქნებოდა ამაზე დავა და კამათი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ საბრალდებო დასკვნის არსებობის და ამ დასკვნაზე შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების შემთხვევაში, „ნაცმოძრაობას“ საერთოდ აეკრძალებოდა არჩევნებში მონაწილეობა.

სიმართლე გითხრათ, როცა 31 ოქტომბრის შემდეგ ატეხილ ამ საყოველთაო გნიასს და ყურისწამღებ პოლემიკას ვუსმენ, რომელშიც ადგილობრივ პოლიტიკურ ძალებთან ერთად ლამის ნახევარი მსოფლიოს ელჩები არიან ჩართული, მეჩვენება, რომ ჩვენ, ყველანი, შინაურებიც და უცხოებიც, ვლაპარაკობთ არა იმაზე, რაც მართლაც საგანგაშო და კატასტროფული ამბავია, არამედ საუბარი გადაგვაქვს სულ სხვა მიმართულებით, მთავარ პრობლემას კი ხელუხლებელს ვტოვებთ, პირადად ჩემთვის და ჩემსავით ასიათასობით ქართველისთვის კი მთავარი პრობლემა, მთავარი უბედურება, იცით, რა არის?! რა არის და ის, რომ „ნაცმოძრაობა“ კვლავ ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა ქართული პოლიტიკური თეატრის სცენაზე და მთავარ მოკავშირედ შვიდი ბარიერგადალახული პოლიტიკური პერსონაჟი ჰყავს.

ჩემი აზრით, სწორედ ეს არის ტრაგედია, რომლის ფინალიც ჯერჯერობით არავინ იცის, როგორი იქნება.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი: მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან რვა წლის თავზე გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნებში კვლავ გაემარჯვა ჰიტლერის ფაშისტურ პარტიას.

ამის ალბათობა შეიძლება სრულიად რეალური ყოფილიყო, თუ გერმანელი ხალხი არ გაასამართლებდა და სამუდამოდ არ აკრძალავდა ჰიტლერის პარტიას, მის იდეოლოგიას.

გერმანელ ხალხს დღემდე რცხვენია მისი ისტორიის ამ შავბნელი მონაკვეთის გამო, ქართველი ხალხის 27%-ს კი სულაც არ რცხვენია 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე აღმოცენებული ქართული ფაშიზმის გამო, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა საქართველოს.

ქართველი ხალხის ეს 27% საერთოდ ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას ქართველი ხალხის იმ 73%-ის წინაშე, რომლისთვისაც კატეგორიულად მიუღებელია ფაშისტური მეთოდებით ქვეყნის მართვა, ფაშიზმის ნებისმიერი ფორმით გამოვლინება.

ამაო გამოდგა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მცდელობა, ადამიანური, ქრისტიანული, შემწყნარებლური, ჰუმანური მეთოდებით ეცადა, სატანის გზაზე შემდგარი „ნაცმოძრაობის“ მორჯულება.

მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავდა ეს ყველაფერი — მოღონიერებული, მომძლავრებული, დაუსჯელობით გათამამებული და გათავხედებული მგელი მოგვიტრიალდა და ისევ შეჭმას გვიპირებს.

31 ოქტომბერს ბეწვის ხიდზე გაიარა საქართველომ — „ნაცმოძრაობა“, მის მიერ მძევლად აყვანილ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, კინაღამ ხელისუფლების სათავეში მოვიდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბეწვის ხიდი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადავლილი...

მისასალმებელია, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო მკვეთრი განცხადებების გაკეთება და საგნებისა და მოვლენებისთვის თავისი ნამდვილი სახელის დარქმევა.

აბსოლუტურად სწორი და სახელმწიფოებრივად გამართლებული მგონია ირაკლი კობახიძის განცხადება, რომ „ნაცმოძრაობა“ საერთოდ უნდა მოიხსნას არჩევნებიდან, როგორც ის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციურ ცენზს და რომელსაც ხელმძღვანელად უცხო ქვეყნის მოქალაქე და, ამასთან ერთად, სასჯელმისჯილი პირი ჰყავს.

ცოტა ადრე უნდა გაკეთებულიყო ეს, მაგრამ, როგორც იტყვიან, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

თუმცა მხოლოდ კონსტიტუ-

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ციური ცენზის დარღვევის გამო კი არ უნდა მოიხსნას „ნაცმოძრაობა“ არჩევნებიდან, არამედ, პირველ ყოვლისა, იმისთვის, რომ ბოლო წლებია, „ნაცმოძრაობა“ მუდმივი რყევებისა და დესტაბილიზაციის ზღვარზე ამყოფებს ქვეყანას.

უფრო ნათლად რომ ვთქვათ, ის, რასაც „ნაცმოძრაობა“ ბოლო წლებში აკეთებს, ეს არის დროში გაჭიმული და გაგრძელებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რაც 2020 წლის 20 ივნისს კინაღამ პარლამენტში შეჭრით დაგვირგვინდა, თუმცა ეს არ არის მხოლოდ ერთი ფაქტი, მსგავსი მოვლენები სხვადასხვა ფორმით არაერთხელ დაფიქსირდა.

ამის დასამტკიცებლად დიდი გამოძიება და გამოკვლევა სულაც არ არის საჭირო — გადახედეთ „მთავარის“ (მანამდე „რუსთავი-2“-ის), „ფორმულის“, ტვ-პირველის გადაცემემს, მოუსმინეთ საპაკაშვილის ჩართვებს კიევიდან, მოუსმინეთ „რევოლუციონერ“ გვარამიას და „რევოლუციონერ“ გაბუნიას და თქვენ აუცილებლად ნახავთ სახელმწიფო გადატრიალების და ხელისუფლების დამხობის საჯაროდ გამოტანილი პროექტებისა და სცენარების ფრაგმენტებს.

ვიღაც-ვიღაცები გვიმტკიცებენ, რომ ამ ფაქტებზე მკაცრი რეაგირება გამოხატვის თავისუფლების, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ნიშნავს.

სიტყვის თავისუფლება და გამოხატვის თავისუფლება კი არა, საქართველოს წინააღმდეგ მიმართული შეთქმულებაა ეს ყველაფერი და ხელისუფლებას მოვუწოდებ: ისე იმოქმედოს, როგორც ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს — კანონის მიხედვით.

ის, რაც სხვა სახელმწიფოებში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა, საქართველოში რატომ არის სიტყვის თავისუფლება?

რატომ არის საქართველოში პოლიტიკოსობა, გნებავთ, ჟურნალისტობა, ხელშეუხებლობის გარანტი, რომელიც პრივილეგიას გაძლევს, შენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ღიად და დაუფარავად ეწეოდე ძირგამომთხრელ საქმიანობას და კანონის წინაშე პასუხი არ აგო?

არჩევნები დამთავრდა, პარლამენტის პირველი სხდომა შედგა, მაგრამ ბარიერგადალახული პარტიები, „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელობით, გამოგონილი, სრულიად დაუსაბუთებელი მიზეზებით ხელახალი არჩევნების ჩატარებას მოითხოვენ.

ქვეყნისთვის ამ უმძიმეს ჟამს, კორონაეპიდემიის პირობებში, ოპოზიციური პარტიების ეს საქციელი განა არ არის ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული უმძიმესი დანაშაული, რომლის მიზანია ეკონომიკის ჩამოშლა, დესტაბილიზაციის, სამოქალაქო დაპირისპირების, ქაოსისა და უმართავი პროცესების პროვოცირება.

დიახ, უმძიმესი დანაშაულია ეს და ამ დანაშაულის ავტორებს და შემოქმედებს პასუხი უმკაცრესად უნდა მოეთხოვოთ.

თუ გვინდა, რომ სახელმწიფო გვერქვას, თუ გვინდა, რომ სახელმწიფო შევინარჩუნოთ, „ნაცმოძრაობა“ უნდა დასრულდეს!

ვახტანგ ხარჩილავა

გრიგოლ ვაშაძის განცხადება

ენმ-ს ახლა უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ გრიგოლ ვაშაძემ ფეისბუკის საკუთარ გვერდზე ასეთი განცხადება გამოაქვეყნა:

„მე გადავწყვიტე დავტოვო ყველა დაკავებული თანამდებობა და გავიდე პარტიიდან.

უაღრესად მიძნელდება ეს ნაბიჯი, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

2017 წლის იანვრიდან, ოთხი წლის განმავლობაში, ვცდილობდი გამეკეთებინა ყველაფერი, რაც ჩემს მოკრძალებულ ძალებში იყო, იმისათვის, რომ პარტია გაზრდილიყო, გაეძლიერებინა საკუთარი პოზიციები, დარჩენილიყო მთავარ ოპოზიციურ გაერთიანებად და შედეგად მიეღო საქართველოს მოქალაქისგან მანდატი ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

ვფიქრობ, ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ, მაგრამ არის ფაქტები, რომლებსაც მე კატეგორიულად ვერ შევეგუები.

არ ვეთანხმები პარტიის ხელმძღვანელობის უმრავლესობის მიერ პარტიის წევრებთან კონსულტაციების გარეშე არჩეულ ტაქტიკას.

კიდევ უფრო მიუღებელია ჩემთვის პარტიული სტრატეგიის არარსებობა.

ეს მხოლოდ ე.წ. ქართულ ოცნებას აძლევს ხელს.

ვერ შევეგუები იმას, რომ პარტიის გარშემო და მის შიგნითაც გამოჩნდენ ისეთი ოდიოზური ფიგურები, რომლებიც ჩვენ კარგა ხანია თითქოს და ჩავაბარეთ წარსულს, და რომლებთან ერთად ვერასადროს, ვიმეორებ, ვერასადროს ვერ მოვიპოვებთ ამომრჩევლის ნდობას.

შეუძლებელია ღრმა აღშფოთებას არ იწვევდეს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეების დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ გაჩაღებული თავდასხმებისა და შეურაცხყოფის კამპანია, რომელიც გაუგებარია ვინ და რა მიზნით წამოიწყო. ამით ადგება უდიდესი ზიანი საქართველოს ურთიერთობებს აშშ-სთან, ევროკავშირთან და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ კამპანიის მონაწილეებს არასდროს გაუგით, რომ ელჩზე თავდასხმა იგივეა, რაც თავდასხმა იმ სახელმწიფოზე, რომელსაც ის წარმოადგენს, და რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან საქართველოს მოქალაქესთან ერთად ჩვენი სახელმწიფოს და ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე სდგას.

ბოდიშს ვუხდი ჩვენ მეგობრებს!

პრობლემების ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ, რადგან კერძო საუბრებში მათზე თავად პარტიის წევრები საუბრობენ.

ჩემთვის უმცირესობაში ან საერთოდ მარტო დარჩენა პრობლემას არ წარმოადგენს. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მე არ შემიძლია ვიყო იქ, სადაც ვერ ვხედავ შეცდომებზე სწავლის შესაძლებლობას და სურვილს.

შეიძლება ვცდები.

მივენდოთ მომავალს. ვფიქრობ, რომ ჩვენ მომავალი ძალიან მალე განგვსჯის.

უმორჩილესი თხოვნა მაქვს ჩვენს პატივცემულ ჟურნალისტებთან — არ მაიძულოთ ტელეფონის გამორთვა.

არ ვაპირებ ინტერვიუების ან კომენტარების გაცემას, არც თოქ-შოუებში მონაწილეობას.

პარტიის წევრებს ვემშვიდობები სიყვარულით, და ვუსურვებ მათ ძალიან მალე მიეღწიოთ ნანატრი გამარჯვებისთვის!

მინაწერი: „ნაცმოძრაობავ“, დაგავჯდა სიკვდილის ბუზი?

პარტიის თავმჯდომარე რომ პარტიიდან გაიქცევა, იმ პარტიის საქმე დამთავრებულია!

ბრავო, ბატონო გრიგოლ, ბრავო!

მაინც რას ნიშნავს საბჭოური „ზაკალკა“ და გამოცდილება — ხომალდი საეჭვოდ ჭრიალს რომ დაიწყებს, ჩაძირვას კი არ უნდა დაელოდო, მაშინვე უნდა გადახტე და თავს უშველო.

თავმჯდომარე გაიქცა, ახლა სხვებიც ხომ უნდა მიხვდნენ, რომ გაქცევის დროა?!

მაგალითად, ნიკანორ მელია ვერ უნდა მიხვდეს, რომ ან ჩასაძირად განწირულ საკაშვილს უნდა ჩაჰყვეს ფსკერამდე და მასთან ერთად დაიხრჩოს,

ან დროულად მოუსვას ბაყაყური და თავი უნდა გადაირჩინოს.

მით უმეტეს, როგორც მამამისი, ბატონო ანზორი, ამტკიცებს, **ნიკა „ნაცი“ არ არის!.. ნიკა — ქართველია!**

ჰოდა, გამოცურე საქართველოსკენ, ნიკა ქართველო!

მეგრელი კაცი მაინც არ იყო — აქამდე რით ვერ მიხვდი, რით ვერ გაიგე, რომ სირცხვილია იქ ყოფნა, სადაც ხარ!

რით ვერ მიხვდი და რით ვერ გაიგე, შენ რომ გგონია, სხვების უფროსი და ლიდერი ვარო, ამ დროს შენი უფროსი ნიკა გვარამიაა. მეზარბაზნე ისაა, შენ კი, უბრალოდ, ჭურვად გიყენებენ.

ერთხელაც იქნება, აფეთქდები სადმე და დაიღუპავ თავს, ნიკა-ქართველო.

ნიკუტა გვარამია ვახსენეთ, და იმას მაინც თუ ხვდებით, ნაციონალებო, გვარმაიამ რა პროვოკაცია მოგიწყოთ და „ფაჩიკოს გარმონივით“ როგორ დაგშალათ შიგნიდან.

ვაშაძის გაქცევა მისი დამსახურებაა, სხვებიც მალე გაიქცევიან და ესეც მისი დამსახურება იქნება.

ვაშაძის გაქცევაო, ვამბობთ და სულ დაგვავიწყდა, რომ პირველი, ვინც „ნაცმოძრაობიდან“ გაიქცა, მიხეილ საკაშვილი იყო, რომელიც ახლა კიევიდან ახორციელებს „ნაცმოძრაობის“ დემონტაჟს, თბილისში კი დამხმარედ გვარამია ჰყავს.

ეს ცოდვის სახლი, ეს კრემატორიუმი, ეს მორგი, სახელად „ნაცმოძრაობა“, ინგრევა.

დროზე გამოასწარით, ნაციონალებო, თორემ ნანგრევებში რომ მოჰყვებით, არავინ არ იქნება თქვენი იქიდან ამომთხრელი და დამხსნელი.

„საერთო გაზეთი“

რასაც ოპოზიცია აკეთებს, ეს არის საბოტაჟი. ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გამოიძიოს, რა ძალები დგანან ამ საბოტაჟის უკან!

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ. პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, პარლამენტის პირველი სხდომა შედგა, „ნაცმოძრაობა“ წარმომადგენლობით ორგანოში არ შევიდა. რას ნიშნავს ეს, როგორ ხედავთ მოვლენების განვითარებას?

— დავიწყოთ იმით, რომ ეს არ გახლავთ ერთპარტიული პარლამენტი როგორც ამას ოპოზიცია აცხადებს. მსგავსი მრავალპარტიული პარლამენტი საქართველოს ისტორიაში არასდროს ყოფილა. დღეს, პარლამენტში 14 პარტია ანუ, 9 საარჩევნო სუბიექტია. აქედან, რვა საარჩევნო სუბიექტმა ბოიკოტი გამოაცხადა. უფრო ზუსტად, ამას ბოიკოტსაც ვერ დავარქმევთ, ეს გახლავთ საბოტაჟი. დღეს, პარლამენტი ოპოზიციის მხრიდან საბოტაჟში იმყოფება. პირველ რიგში, უნდა გაირკვეს: რა დგას ამ ყველაფრის უკან. ამომრჩეველი კარგად უნდა დაფიქრებულიყო სანამ არჩევანს გააკეთებდა. თითოეულმა მოქალაქემ ქვეყნის და არა მხოლოდ საკუთარი თავის წინაშე, პასუხისმგებლობა უნდა აიღოს, მაგრამ რაც აირჩიეს, ის აირჩიეს. ოპოზიცია არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს იმ ფონზე, როცა ხელთ ამას დამადასტურებელი არცერთი დოკუმენტი არ უჭირავთ. უფრო მეტიც, როცა საუბრობენ 300-ზე მეტ საჩივარზე, რომელიც სასამართლომ არ დაუკმაყოფილა, ამას საზოგადოებისთვის განმარტება სჭირდება: სასამართლომ სარჩელი რომ განიხილოს, ოპოზიციამ კვალიფიციურად მომზადებული, იურიდიულად გამართული დოკუმენტი უნდა შეიტანოს. თუ პირი მიზანმიმართულად, უცოდინრობით დოკუმენტს კვალიფიციურ იურიდიულ სახეს ვერ აძლევს, სასამართლო უფლებამოსილი არ არის ასეთი საჩივრები განიხილოს. ჯერ ერთი, საინტერესოა რა სახის საჩივრები შეიტანეს. აშკარაა, რომ საჩივრები არ აკმაყოფილებდა იურიდიულ სტანდარტს და სასამართლომ ვერ განიხილა. ამის ალტერნატივად ხელისუფლებამ ოპოზიციას ხმების თავიდან გადათვლა შესთავაზა ყველა იმ უბანსა და ოლქში, რომელსაც ისინი ხელს დაადებდნენ. ოპოზიცია ამ წინადადებას არ დასთანხმდა. არგუმენტად შემდეგ ფაქტს იშველიებენ: ახლა, რა დროს გადათვლაა, როცა თვენახევარი გავიდა და ხელისუფლებას ყველაფერი შეცვლილი აქვსო. ეს სრული აფიორაა იმიტომ, რომ იმ ოქმებში რაც მათ ხელთ აქვთ ვერც რამე შეიცვლებოდა და ვერც ვერავინ ვერაფერს დაამატებდა. თოთხმეტივე პარტიას გააჩნია თითოეული უბნის ოქმი. თითო უბნიდან, მინიმუმ, 7–7 ოქმი ხელთ აქვთ. ხელისუფლება ეუბნება: დავადაროთ ერთმანეთს თქვენი კომისიის წევრების მიერ ხელმოწერილი ოქმები და ბიულეტენები რამდენად ემთხვევა ერთმანეთსო, მაგრამ ესენი უარს აცხადებენ. ამის პარალელეურად, ხომ არსებობს ვიდეო თვალი. ნებისმიერ საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ექსპერტიზის ჩატარება რამდენად ავთენტურია იგი და გამოჩნდება იყო იქ, რეალურად სომხური კა-

რუსელი და ა.შ თუ არა. თვენახევარი გავიდა თუ ათი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ოქმები მათ ხელშია, სადაც რაოდენობები, პარტიის პროცენტებია აღწერილი და შეუძლიათ ეს თითოეულ უბანს დაადარონ. აქედან იკვეთება: თითოეულმა პარტიამ ძალიან კარგად იცის, რომ ხმების გადათვლის შემთხვევაში თავად დარჩებიან წაგებულნი და ამიტომ არ მიდიან ამ შემოთავაზებაზე. ამ მოლაპარაკების პროცესში, რომელიც საერთაშორისო აქტორების — ევროკავშირისა და აშშ-ს ელჩების მონაწილეობით მიმდინარეობს, ეს უკანასკნელნი ძალიან კარგად ხედავენ, რომ ოპოზიცია ითხოვს იმას, რისი არანაირი მტკიცებულება და საფუძველიც არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა: მაშინ რამ განაპირობა ეს საბოტაჟი? თუ ოპოზიციამ იცის რომ არჩევნები შედგა და მან მიიღო ის რაც მიიღო, მაშინ რატომ არ უნდა პარლამენტში შესვლა?! ჩემი ღრმა რწმენით, ამას ძალიან სერიოზული საფუძველი აქვს, რითაც აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ხელისუფლება და დაიწყოს გამოძიება თუ რა დგას ამ საბოტაჟის უკან. ჩემი აზრით, საბოტაჟი შემდეგმა გარემოებამ განაპირობა: სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში კრიმინალმა სერიოზულად მოიკიდა ფეხი. ანუ, კრიმინალებმა თავისი უსაფრთხოებისა და თავისუფლების გარანტად პოლიტიკა აირჩიეს. ანუ, პოლიტიკაში ჰპოვეს თავშესაფარი, რათა ხელშეუხებელნი ყოფილიყვნენ. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი საჯაროდ, მთელი მსოფლიოს დასანახად სჩადიან დანაშაულებს და თუ ვინმემ ამის გამო მათ პასუხი მოსთხოვა, გაჰყვირიან: ჩვენზე, პოლიტიკური დევნა ხორციელდებაო. ხელისუფლება ოპოზიციის მხრიდან ამ ანტიკონსტიტუციურ, ანტისაკანონმდებლო ქმედებებზე მაინც რეაგირებს. დიახ, ოპოზიცია პოლიტიკას კრიმინალურ თავშესაფრად იყენებს. ოპოზიციაში ყოფნით კი და თუნდაც, პარლამენტის იმუნიტეტით თავს დაცულად ვეღარ გრძნობენ. ფიქრობენ: თუ ჩვენ, როგორც კრიმინალებმა ძალაუფლების უზურპირება არ მოვახდინეთ, მაშინ ხელისუფლება, ნებისმიერ დროს, შეძლებს ჩვენს დაპატიმრებასო. ამის კანონიერი საფუძვლები ხელისუფლებას გააჩნია, რაც მათ ჩვენზე უკეთ იციან. მოგახსენებთ რატომ ვფიქრობ, რომ ახლა, მათი უსაფრთხოება, თუნდაც, დეპუტატობის შემთხვევაში, ეჭვქვეშ დადგა: მთელმა მსოფლიომ ნახა რა ხდებოდა გავრილოვის ღამეს პარლამენტის შენობის წინ, შუაგულ რუსთაველზე. ჯერ ერთი, ეს გავრილოვის ღამე კი არა პარლამენტზე შტურმის ღამე იყო. ყველამ დავინახეთ როგორ ხდებოდა რკინის ნივთებით, არმატურებით, სხვა ხელსაწყოებით პარლამენტზე შტურმი. ასევე, როგორ ესხმოდა თავს ოპოზიცია სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, ამ შემთხვევაში, პოლიციას. პოლიციელებს ართმევდნენ ფარებს, ითრევდნენ ბრბოში და ფიზიკურად უსწორდებოდნენ, რაც ნებისმიერ ქვეყანაში არამხოლოდ სისხლის სამართლებრივად არის დასჯადი, არამედ ამ შემთხვევაში, პოლიციას არა რეზინის, არამედ ჩვეულებრივი ტყვიის გამოყენების და თავდაცვის უფლება აქვს. ამის გამო, არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში პოლიციელი პასუხს არ აგებს. აი ამას აკეთებდა ოპოზიცია და მიუხედავად ყველაფრისა ფიქრობდა, რომ დაუსჯელი უნდა დარჩენილიყო. ამის შემდეგ როგორც იცით ერთ-ერთ დეპუტატს — ნიკა მელიას პარლამენტმა იმუნიტეტი მოუხსნა, რადგან სხვა შემთხვევაში დეპუტატის დაპატიმრების უფლება არ აქვთ. ამ კრიმინალებმა რომლებიც ოპოზიციაში არიან მოკალათებული, საფრთხე იგრძნეს ვინაიდან დაინახეს, რომ დეპუტატებმა მელიას იმუნიტეტი მოუხსნეს. აშკარაა, ისინი თავს დაცულად ვეღარ გრძნობენ. აქედან გამომდინარე, დაინახეს, რომ ოპოზიციაში ყოფნა და თუნდაც, პარლამენტის იმუნიტეტი არ არის გარანტია, რათა მათი კრიმინალი ხელშეუხებელი იყოს. ამიტომ, ისევე როგორც 2003 წელს, წლევანდელ არჩევნებზეც ოპოზიციამ მიზნად დაისახა ძალაუფლების უზურპირება ანუ, ძალის გამოყენებით, რევოლუციით ხელისუფლების ხელში ჩაგდება. ეს არამხოლოდ არჩევნების დღეს და მის პერიოდში გამოვლინდა, არამედ გაცილებით ადრე, იგივე, გავრილოვის ღამეს. მათ სურთ დესტრუქციული ქმედებებით სახელმწიფო სტრუქტურები ჩამოშალონ. ეს არის, დღეს, რეალურად, ოპოზიციის მიზანი. საჭიროა სერიოზული გამოძიება. ალბათ, გახსოვთ, 2003 წელს იგივე პოლიტიკურმა ძალებმა რომლებიც დღეს ამ ვაკხანალიის ფლაგმანნი არიან, სწორედ გაყალბებული არჩევნების საბაბით მოახდინეს ძალაუფლების უზურპირება, შეჭრა პარლამენტში და მიუხედავად ამისა, ყველანი დაუსჯელნი დარჩნენ. ამ ძალას 2003 წლის არჩევნების გაყალბების არცერთი მტკიცებულება დღემდე არ წარმოუდგენია არც სასამართლოში და არც მის მიღმა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ 2003 წლისა და 2020 წლის მოვლენებს აქვთ რაღაც კრიმინალური კავშირი, რაც ვიმეორებ, ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს. კრიმინალი ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნას ჩამოშორებული. იმიტომ, რომ პოლიტიკაში კრიმინალების არსებობა, ჯერ ერთი, საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას, მეორე მხრივ, საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას, მეორე მხრივ, ასალაგმია შემდეგი ტენდენცია: მსგავსი კრიმინალები, რომელთაც ფული აქვთ მოპარული, ან ფულის გათეთრებაში აქვთ მონაწილეობა მიღებული, ან აქვთ უკანონო ბიზნესები, პარლამენტში, ხელისუფლებაში შეღწევის გზით თავიანთი კრიმინალის გაპრავებას ვერ უნდა ახდენდნენ. ამიტომ, ეს ტენდენცია უნდა შეჩერდეს, რაც ერთადერთ შემთხვევაში მოხდება: თუ სამარ-



თლიანად, სკურპულოზურად გამოვიძიებთ რა დგას ამ საბოტაჟის უკან, რატომ არ შედის რვა პოლიტიკური სუბიექტი პარლამენტში. მაშინ როდესაც ვიმეორებ, მათ არჩევნების გაყალბების არცერთი მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ, მეტიც, ერთი კომისიის წევრიც კი ვერ გამოიყვანეს ტელე-ეთერში, რომელიც იტყოდა: ამა და ამ კუთხით, ადგილი ჰქონდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, ან ოქმზე იძულებით მომაწერინეს ხელიო. მსგავსი პრეცედენტი ოპოზიციამ ვერ შექმნა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას არავითარი საფუძველი იმის მტკიცებისა თითქოს, არჩევნები გაყალბდა, არ გაარჩია. ეს მხოლოდდამხოლოდ საბაბია იმისა, რომ ძალის გამოყენებით ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ. ამიტომ, თუ შემდგარ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, მაშინ გამოვიძიოთ რა დგას რეალურად ამ საბოთაჟის უკან — არის თუ არა ეს კრიმინალის გაპრავება და ოპოზიციის მხრიდან ხელისუფლების უზურპაციის მცდელობა.

— როცა გაყალბებაზე საუბრობენ, „ნაცებმა“ 27% რეალურად მიიღეს?

— გეთანხმებით, აქ, თუ გაყალბებას ჰქონდა ადგილი ან ხმების არასწორ გადათვლას, ეს მხოლოდდამხოლოდ „ნაცების“ და ისეთი გაქექილი პარტიების სასარგებლოდ შეიძლება მომხდარიყო, რომელთაც გოგორიშვილისეული გამოცდილება გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, ძალიან სერიოზული იქნებოდა ხმების გადათვლა, მაგრამ ოპოზიცია ამის რიოზული იქნებოდა ხმების გადათვლა, მაგრამ ოპოზიცია ამის საშუალებას არ იძლევა. ვფიქრობ, ხელისუფლებამ უნდა გამონახოს კანონიერი გზები და გადათვალოს ხმები. თუმცა, ოპოზიცია ამაში მონაწილეობას არ მიიღებს, თვენახევარი გავიდაო, გაიძახიან. არადა, ოქმები ხომ უჭირავთ ხელთ, სადაც აღწერილია რამდენი ადამიანი მივიდა უბანზე, ვის მისცა ხმა და ა.შ. ეს ხომ მათ ხელთ არის და რამდენი დროც არ უნდა გავიდეს, ის ოქმები ხომ ვერ გადაკეთდება?!

— კობახიძემ განაცხადა: „ნაცები“ საკონსტიტუციო ცენზს არ აკმაყოფილებენ, მათი ბელადი მისჯილია, სხვა ქვეყანაშია და საბაბი გვაქვს ისინი არჩევნებიდან საერთოდ მოვხსნათო, რასაც თქვენ, უკვე, მრავალი წელია ითხოვთ. ამ პარლამენტის მთავარი დანიშნულებაც ეს ხომ არ უნდა იყოს, რომ ნაცები ერთხელ და სამუდამოდ პოლიტიკური ველიდან გავიყვანოთ?

— რა თქმა უნდა, მართლაც, წლებია ამაზე ვსაუბრობ. „ნაცები“, აბსოლუტურად, ყველა ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა დაისაჯონ, მათ შორის, მათი თავკაცი პიჯაკების საქმეზე კი არა, ქვეყანა რომ დააქცია და ამდენი ადამიანი ქუჩაში ჩახოცა, ამისთვის უნდა აგებდეს პასუხს. რაც შეეხება კობახიძის განცხადებას, ეს არასწორად იყო აღქმული, თითქოს, ეს კანონი ახლა უნდა მიიღონ — თუ პარტია კონსტიტუციურ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, იგი, არჩევნებიდან უნდა მოიხსნას. ეს კანონი მუშაობს მას მერე რაც არჩევნები არსებობს, სადაც ცალსახად წერია: პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, მას უფლება არ აქვს ქართულ პოლიტიკაში მონაწილეობა მიიღოს. აქ, სააკაშვილი არათუ ღებულობდა მონაწილეობას, არამედ მიტინგებზე სიტყვით გამოდიოდა და როგორც პრემიერი ისე გახლდათ არჩევნებზე დასახელებული. ანუ, ანტიკონსტიტუციურ ქმედებასთან გვქონდა საქმე. ასევე, პირს რომლის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება, უფლება არ აქვს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. მას, საერთოდ, ხმის უფლება აქვს ჩამორთმეული. ასე, რომ იგი არღვევდა კონსტიტუციასაც და კანონსაც. დღესაც, ხელისუფლებას თავისუფლად შეეძლო მათთვის საქმიანობა აეკრძალა. უბრალოდ, კანონი არ აკონკრეტებს, გარდა ჯარიმისა, სხვა რა სანქციის გამოყენება შეიძლებოდა ამ შემთხვევაში. ეს კანონი ახლიდან კი არ არის მისაღები, არამედ დაკონკრეტებაა საჭირო — როდესაც რომელიმე პარტია კონსტიტუციას არღვევს, რა იურიდიული სანქციები უნდა განხორციელდეს. ეს კანონმდებლობაში დევს. ერთი მხრივ, მათ შეუძლიათ პარტიის რეგისტრაციიდან მოხსნა და მეორე, ყველაზე მთავარი, რასაც ჩვენ წლებია ვითხოვთ: მოხდეს მათი ქმედებების სამართლებრივად შეფასება და იმ პოლიტიკური ძალის გასამართლება, რომელმაც სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინაშე დანაშაული ჩაიდინა.

— ამ დამნაშავეებს 500 ათასმა ამომრჩეველმა ხმა მისცა. ანუ, მოსახლეობას სათანადოდ ვერ გავაგებინეთ რას წარმოადგენს ეს ძალა?

— მგონია, რომ ქვეყნის მოსახლეობამ ეს ძალიან კარგად იცის, უბრალოდ, ამას იურიდიული მსვლელობა უნდა მიეცეს. ხალხი სამართლიანობის აღდგენას, სამართლის დამყარებას მოითხოვდა, თორემ ინფორმაცია კი არ აკლდათ იმის შესახებ თუ რას სჩადიოდა 9 წლის მანძილზე „ნაცმოძრაობა“. რასაც ეს კრიმინალური ძალა აკეთებდა, ამ ხალხმა თავის ტყავზე გამოსცადა. ასე, რომ მათ ამის ახსნა კი არ სჭირდებათ, არამედ იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ეს უნდა გააკეთოს ქართულმა საზოგადოებამ. ვისაც გაგება უნდა მშვენივრად იცის რა დანაშაულობებიც აქვს ერის წინაშე ამ პარტიას, აქ მოტყუებული არავინ არის. ვისაც არ უნდა ამის გაგება და ვინც ამ კრიმინალით ხელს ითბობდა, ეს ადამიანები, მუდმივად, ამ ბანდის მხარდამჭერებად დარჩებიან. თქვენ იცით, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტად რაც ადამიანებს აერთიანებთ და ჰკრავთ, ეს არის კრიმინალი. დანარჩენ საზოგადოებას ახსნა არ სჭირდება და ამიტომაც არასდროს დაუშვებენ მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას. ახლა, ჩვენ, „ქართული ოცნებისგან“ ვითხოვთ აღადგინოს სამართლიანობა და ჩადენილი დანაშაულობებისთვის „ნაცებს“ პასუხი მოსთხოვოს.

— ქართული ნიურნბერგის პროცესი ხომ არ გვჭირდება?

— ნიურნბერგის პროცესში მთელი ევროპა, ამერიკა იყო ჩართული იმიტომ, რომ ის მთელი მსოფლიოს პრობლემა გახდა — ფაშიზმმა ყველა შეაწუხა. ჩვენ, შეგვიძლია ეს სამაგალითო პროცესი ქართველი ხალხისთვის და ასევე, მსოფლიოსთვის ჩავატაროთ და ვაჩვენოთ: რა დღეში იყო 9 წლის მანძილზე ქართული სახელმწიფო, რის საფუძველზე მოხდა ტერიტორიების გასხვისება, ადამიანების დაპატიმრება, გვამებად ქცევა, ქუჩებში ჩახოცვა, ელიტური კორუფცია, ბიზნესის რეკეტი და ა.შ. აი, ეს უნდა ვაჩვენოთ მსოფლიოს. დიახ, ეს პროცესი, აუცილებლად, უნდა ჩავატაროთ თუნდაც იმიტომ, რომ საერთაშორისო საზოგადოების ნდობა და პატივისცემა დავიმსახუროთ და ვაჩვენოთ — ჩვენ სამართლებრივი ქვეყანა ვართ. აბა, ნორმალური გგონიათ, თქვენ, ის, რომ მილიონების ქურდები გიგი უგულავა, გიგა ბოკერია და სხვა ბანდიტები, კრიმინალები პოლიტიკაში, პარლამენტში არიან და ამ დროს ციხეში სხედან ადამიანები, რომელთაც პურის, წამლის საყიდლად 100 ლარი მოიპარეს. თავისთავად, ეს საზოგადოებაში უსამართლობის განცდას აჩენს.ე.ი. თუ ადამიანს 100 ლარი გაქვს მოპარული ციხეში უნდა იჯდე და თუ მილიონები — პარლამენტში. ეს არის სახელმწიფო?! ადამიანებში სამართლიანობის განცდა უნდა გავაჩინოთ, კანონის წინაშე ყველა თანაბრად უნდა იყოს პასუხისმგებელი. ეს უნდა ვაჩვენოთ მსოფლიოს.

— სამართლიანმა არჩევნებმაც გადათვალა ხმები. ოპოზიცია, მაინც, ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. სადამდე შეიძლება ეს პროცესი მივიდეს?

— ეს პროცესი გასტანს მანამ, სანამ მათ ქმედებებს ხელისუფლება არ მისცემს სამართლებრივ შეფასებას და მსვლელობას. ეს საბოტაჟი არ არის მოტყუებული ადამიანებისთვის, ვისაც სჯერა რომ არჩევნები გაყალბებულია. არა! ამის უკან სერიოზული პრობლემა დგას და ეს უნდა გაირკვეს.

— „ნაციონალები“ და მისი განშტოებები გასაგებია, მაგრამ რა უნდა დანარჩენ ოპოზიციას?

— ნუ, ახლა, ერთკაციანი და 1%-იანი პარტიები საერთოდ ვერ იარსებებენ თუ ამ კრიმინალებს არ აეკიდებიან. ფაქტობრივად, ისინი პარლამენტში ამ კრიმინალების ხარჯზე მოხვდნენ. ესენი არიან მედროვე ადამიანები, რომლებიც ყოველთვის სკამებზე და თავიანთ კეთილდღეობაზე ფიქრობენ — ოღონდაც, ხელისუფლებაში მოვხვდეთ და ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო.ეს ხალხი აეკიდა ამ კრიმინალებს, რომელთაც ქვეყანაზე, ხელისუფლებაზე ზემოქმედების დიდი ძალა აქვთ. ამიტომ, მათი ინტერესები ძალიან მერკანტილურია. ჩვენ ისეთი მოცემულობა მივიღეთ, რომ ოპოზიციის 90%-ს კრიმინალები წარმოადგენენ.

„ქართულ ოცნებას“ გაყალბება რომ ნდომოდა, თავის მომხრე პარტიებს შეიყვანდა პარლამენტში და არა ისეთ პარტიებს, რომლებიც საბოტაჟს მოუწყობდნენ. არჩევნების დროს დარღვევები, შეცდომები ყოველთვის ხდება. მთავარია, რომ ამას შედეგებზე ზეგავლენა არ მოუხდენია. საყურადღებო ის არის, რომ ოპოზიცია მიდის დესტაბილიზაციაზე, გადატრიალებაზე. სანამ სახელმწიფოს საბოლოოდ შეარყევენ, მანამდე ხელისუფლებამ უნდა გადადგას სამართლებრივი ნაბიჯები და დაიცვას სახელმწიფოს ინტერესები, მოქალაქეები და გამოავლინოს კრიმინალი პოლიტიკაში.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რაც დღეს საქართველოში ხდება, პირდაპირი გამოძახილია იმისა, რაც ხდება ამერიკაში

გვესაუბრება
პოლიტიკის ანალიტიკოსი
სოსო მანჯავიძე

— ბატონო სოსო, რას იტყვით საქართველოში მიმდინარე პროცესებზე?

— ეს ვითომ ოპოზიციონერები არიან გაურკვევლობაში მყოფი ხალხი, ლიბერალები, ათეისტები, რომლებიც დაჯგუფდნენ და დიდ პრობლემებს ქმნიან.

არავის ეგონოს, რომ ყოველივე ეს დირექტივის გარეშე ხორციელდება. ეს იყო მითითება, რადგან არეულობა ზოგიერთ პოლიტიკურ აქტანტს აწყობს, იქიდან გამომდინარე, რომ გააქტიურდა საქართველოს ჩრდილო ატლანტიკურ ბლოკში ინტეგრაციის თემა. ყარაბაღის ომის შემდგომ რეგიონული აქტანტები დომინირებენ უკვე საქართველოში. აქამდე ასეთი აქტიურობა არ ყოფილა, თუმცა ნატოს ოფიციალური გადაწყვეტილება



არ ჩანს და სრულიად აბსურდული მიზნებით, ისე, რომ ზოგიერთმა არც იცის, რას აკეთებს, გაუცნობიერებლად მოქმედებენ. მოკლედ, არიან სულელურ ბოდვებში.

რამ გააერთიანა, მაგალითად, ბურჯანაძე და ბოკერია? — ამბობენ, რომ, ვითომ, არჩევნები გაყალბდა; იმეორებენ ერთსა და იგივეს, რადგან მიაჩნიათ, თუ სიცრუეს მუდმივად გაიმეორებენ, ვინმეს ამაში დააჯერებენ. თუმცა ადამიანის ტვინი ისეა მოწყობილი, ხშირად იჯერებს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მერე თვითონაც მართალი ჰგონიათ თავიანთი ნაბოდვარი.

ბიულეტენები გადავთვალოთო და მერე ესეც არ მოინდომეს.

უსუფაშვილი კი ლაპარაკობს დინჯად, მაგრამ დინჯად ლაპარაკობს იგივე სისულელეს, რასაც მელია გაიძახის აღგზნებულ მდგომარეობაში. ამ სისულელეში ვართ, სამწუხაროდ.

— ეს ქმედებები დირექტივაა თუ სპონტანური ქმედება?

— რა თქმა უნდა, ეს დირექტივაა და მხოლოდ სააკაშვილის ინიციატივა თუ ვინმეს ჰგონია, ძალიან ცდება. სააკაშვილის უკან ჩანს დაინტერესებული ქვეყნის დაზვერვის ყურები, ამ ყურების დამალვა შეუძლებელია და მხოლოდ ბრიყვს შეუძლია, ის ვერ დაინახოს.

ოპოზიცია არ მალავს, რომ რევოლუციის მოწყობა უნდათ. რევოლუცია ვისაც უნდა, ისინი პირდაპირ ქვეყნის მტრები არიან, მათ მიმართ უნდა იქნას გამოყენებული კანონი.

— სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკური ძალები ასეთ დროს როგორ მოიქცეოდნენ?

— როგორ და, რა შედეგიც მიიღეს, იმით დაკმაყოფილდებოდნენ და შევიდოდნენ პარლამენტში.

მე, მაგალითად, მომხრე ვარ, რომ მავნებელი პარტია, „ნაცმოძრაობის“ სახით და მათი განაყოფები, საერთოდ აიკრძალოს, მაგრამ რომელ აკრძალვაზეა ლაპარაკი, 27% აქვთ...

— გაზაფხულზე ახალ „შეტევას“ გეგმავენ.

— პანდემიის ფონზე, როცა ეკონომიკური ვითარება მძიმდება და ხალხის სოციალური მდგომარეობა უარესდება, მტრული ძალების გათვლები სწორია. მოსალოდნელია, რომ გაზაფხულზე „ქართული ოცნება“ უმძიმესი რეალობის წინაშე აღმოჩნდება.

— რაც დღეს საქართველოში ხდება, ხომ არ არის აშშ-ში მიმდინარე პროცესების გამოძახილი?

— არაერთგზის გვითქვამს, რომ დონალდ ტრამპი და მის უკან მდგარი ძალები ცდილობდნენ დაებრუნებინათ ამერიკა ვუდრო ვილსონის პერიოდამდე არსებულ ვითარებაში. მათი კონცეფცია იყო, ამერიკა გამხდარიყო „პირველი თანაბართა შორის“, რაც კატეგორიულ წინააღმდეგობაში შედის გლობალისტების ინტერესებთან. შესაბამისად, მოხდა ელიტათა შორის განხეთქილება, რაც სსრკ-ის დანგრევის შემდეგაც გაგრძელდა. ერთი სიტყვით, ამერიკა უნდა ყოფილიყო მთელ მსოფლიოში დომინანტი, რისთვისაც იყენებდნენ გარკვეულ იდეოლოგიას — მთელ მსოფლიოში უმცირესობების ჰეგემონიზაციას, ეროვნული სახელმწიფოების დასუსტებას და განადგურებას, სუროგატული სახელმწიფო ორგანოების შექმნას, ამერიკის ფედერალური რეზერვების გადაქცევას ერთ, ცენტრალურ ბანკად, ლიბერალური იდეოლოგიის დღის წესრიგად ქცევას — ლგბტ, უმცირესობების, რასობრივი, ანტირელიგიური თემატიკის გაძლიერებას. ბაიდენმა უკვე განაცხადა, რომ მხარს დაუჭერს არასამთავრობო ორგანიზაციებს მთელ მსოფლიოში. რაც ნიშნავს იმას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დაფინანსდებიან, რათა მოამზადონ ახალი „ფერადი რევოლუციები“.

არსებული დაპირისპირება ჩინეთსა და აშშ-ის შორის უკავშირდება ახალ წარმონაქმნს, რომელსაც ჩაინა-ამერიკას უწოდებენ. მათ არ აინტერესებთ ამერიკა, როგორც სახელმწიფო, იმ გაგებით, როგორც ეს დონალდ ტრამპს სწამდა. ჩაინა-ამერიკა არის მრავალასეულმილიარდიანი ერთნაირ ინტერესებს გადაჯაჭვული წარმონაქმნი, რომელსაც თავისი ლობისტები ჰყავს არა მხოლოდ აშშ-ში, არამედ ჩინეთშიც.

ამერიკის დემოკრატიული პარტია სწორედ ჩინური მხარდაჭერით სარგებლობდა, რასაც ადასტურებდა კიდევაც უამრავი ფაქტი.

დონალდ ტრამპს ებრძოდა და ებრძვის მთელი ამერიკული მედია, ფეისბუქი, ტვიტერი, გუგლი, იუთუბი და სხვები. ამ კორპორაციების უკან, ბუნებრივია, დგას საოჯახო კლანები, რომლებიც სწორედ ამ ინტერესით სულდგმულობენ. ტრამპის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულია თავად ამერიკული უწყებები. ცრუ, რომელიც აშკარად ებრძვის ტრამპს.

ტრამპის წინააღმდეგ შეთქმულებას კურირებს ინგლისის დაზვერვა, რომელიც გახლავთ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია. ის თავის მიზნებს ახორციელებს ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ინსტრუმენტით.

ასე რომ, ძალა, რომელიც მოდის აშშ-ის სათავეში, გახლავთ აშკარად არალეგიტიმური, გაყალბებული, ფალსიფიცირებული არჩევნების გზით. თანაც ყველაფერი ეს კეთდება დემონსტრაციულად.

ბაიდენს ნამდვილად არ მიუღია 90 მილიონი ხმა. 70 თუ 75 მლნ საფოსტო ხმა თავიდანვე იყო ეჭვის საგანი, მაგრამ, ვნახეთ, რომ მოხდა ის, რაც მოხდა.

მოკლედ, უკვე აშკარა აგრესიით არის დაკავებული ჯოზეფ ბაიდენის ძალაში არშესული ადმინისტრაცია და უკვე მიმდინარეობს დისკუსიები, რომელი უმცირესობის რომელი წარმომადგენელი დაინიშნება აშშ-ის ადმინისტრაციაში პასუხსაგებ თანამდებობებზე...

რაზეც იდგა აშშ და რაც იწვევდა მის სიძლიერეს, ის ინგრევა და ვღებულობთ ისეთ მიდგომებს, რომლებიც დამანგრეველი იქნება თვით ამერიკის სახელმწიფოსი და დიდ დაპირისპირებებს გამოიწვევს.

რამდენად საშიშია მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოში ასეთი პროცესები, მე მგონი, ეს კომენტარს არ საჭიროებს.

იმ კრიზისებთან ერთად, რაც ხდება აშშ-ში, პანდემიასაც ვგულისხმობ, იმარჯვებს ყველაზე საშინელი ძალა, რაც კი ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში და თუ ეს ძალა მართლაც მოვიდა, ტრამპი განზე გასწიეს და ის მიზანი, რაზეც ლაპარაკობდა: მე ვიბრძვი იმისთვის, რომ კაცობრიობა თვითმკვლელობისგან ვიხსნაო, ჩაიფუშება და კაცობრიობა კატასტროფის წინაშე დადგება.

დიდი იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება, თუმცა ყველაფერი აქეთკენ მიდის.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სიკეთის გაკვეთილი

ვუძღვნი დიმიტრი დუგლაძის ხსოვნას

ცხოვრება იმდენად პრაგმატული გახდა, რომ თითქმის აღარ დარჩა სიკეთის ადგილი დედამიწაზე. ამიტომაც ხშირად მახსენდება ხოლმე ადამიანები, რომლებსაც თუნდაც მცირე კარგი რამ მაინც გაუკეთებიათ ჩემთვის, როგორც ერთი ადამიანისთვის.

კაცმა რომ თქვას, ასეთებს ძალიან ცოტას ვიხსენებ, მაგრამ ერთადერთი ვალი თუ ვალდებულება, რომელიც მაწევს და ხშირად მახსენდება, როგორც უდაბნოში ზეციური მანანა, როგორც უანგარო სიკეთე, აქამდე ვერა და ვერ გადავიხადე.

2000 თუ 2001 წელი იქნებოდა. პირველ ნაბიჯებს ვდგამდი ჟურნალისტიკაში. მომწონდა ეს საქმე. ისედაც მთელი ბავშვობა რედაქციაში მქონდა გატარებული, ძველებური კლიშეებიანი სტამბის სუნში, დედის გვერდით, რომელიც ასევე ჟურნალისტი იყო...

იმ პერიოდში ერთ ნაკლებად ცნობილ ბეჭდურ გამოცემაში დავიწყე სტაჟიორად მუშაობა. გამოცემის ხელმძღვანელმა ხაშურში გამგზავნა კომპანია „გომის“ ხელმძღვანელთან ინტერვიუს ჩასაწერად და კომპანიის საქმიანობის გამოსამზეურებლად.

დირექტორმა კაბინეტში მიმიღო, იმის მიუხედავად, რომ ზედვე მეტყობოდა, ახალბედა ვიყავი, ვერც მისი კომპანიის საქმიანობის საუკეთესო გამხმოვანებლად გამოვდგებოდი და ვერც „გამრეკლამებლად“, მაინც განსაკუთრებულად მიმიღო, სრულად მომიყვა კომპანიის დაარსების და მისი საქმიანობის ისტორია და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, თავად მისი ცხოვრების ბიოგრაფიაც — რა სიძნელეები გადაიტანა, როგორი თავდადებული შრომა დასჭირდა კომპანიის ფეხზე დაყენებას, როგორ მოვიდა აქამდე...

მერე საქართველოს დიდ მამულიშვილებზე ჩამოაგდო სიტყვა. პირველყოვლისა, ილია ახსენა და რამდენიმე საგულისხმო ფრაზაც გაიხსენა ამ დიდი მწერლის ნაწარმოებებიდან. მეც ავყევი საუბარში და ლექსები ზეპირად რომ ჩავუჭიკჭიკე, ძალიან გაუხარდა, უჯრიდან პატარა ბლოკნოტი ამოიღო და მის მიერ წიგნებში ამოკითხული სხვადასხვა მოაზროვნეების ციტატების კითხვას შეუდგა. თან განიხილავდა ამ ციტატებს, თან — კითხულობდა. ხანდახან ლექსებსაც ვწერო, ჩემთვისო, და ერთი ოცნება მაქვსო — ჩემს მიერ მოკრეფილი დიდი ადამიანების ბრძნული გამონათქვამები და ჩემი პატარა ნააზრევიც, ერთად, პატარა წიგნად მინდა გამოვცეო.

ბევრი ვილაპარაკეთ...

ღმერთმანი, არ ვიცი, რატომ გაიხსნა, რატომ გამენდო და რატომ მომიყვა ის, რაც გულში და სულში ჰქონდა ამ კაცს, 90-იან წლებგამოვლილს, ცხოვრებანანახს, იმ მძიმე დროში საკუთარი ბიზნესის კბილებით გამტან ადამიანს, საქმის კაცს, ჩემთან შედარებით, ასაკოვანს...

როგორც მეგობარს, დიდი ხნის ნაცნობს, ისე მელაპარაკებოდა ამ მართლაც ღლაპს და თბილისიდან გაუფრთხილებლად სტუმრებულ დამწყებ ჟურნალისტს...

— ამდენი რომ გელაპარაკე, ხომ არ გშია, შვილო, — მითხრა ბოლოს.

ცოდვა გამხელილი სჯობს, მახსოვს, მართლა ძალიან მშიოდა. დერეფნიდან კი ქარხნის თანამშრომლებისთვის მის მიერ სპეციალურად გახსნილი უფასო სამზარეულოდან მადისაღმძვრელი სუნი დირექტორის კაბინეტში აღწევდა და რატომღაც მაინცდამაინც ჩემს ცხვირზე მოჰქონდა იერიშები.

შემრცხვა.

— არა, არ მშია-მეთქი, — მოვიტყუე.

წამოსასვლელად რომ წამოვდექი, უჯრიდან ფული ამოიღო, 200 ლარი მომცა და მითხრა, ქვემოთ მანქანა გელოდება, ჩვენი ქარხნის პროდუქცია დევს შიგ, შენია, წაიღე და ვისაც გინდა, აჩუქეო.

გამომშვიდობებისას წამოდგა, თავის მაგიდას მოუარა, ჩემდა გასაკვირად, როგორც პატივსაცემ ადამიანს, ისე ჩამომართვა ხელი და კიდევ შევხვდებითო, გამიღიმა.

არ ვიცი, რა დაინახა ჩემში, ასე რომ მომექცა, მაგრამ უნდა ვთქვა, არც ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ ვიყავი მე, თავისი საქციელით საკუთარი თავი გამოამჟღავნა, საკუთარი ღირსება გამოაჩინა, დამანახა და დამამახსოვრა...

დირექტორის მანქანაში უკან ჩავჯექი. ჩანთაში ის 200 ლარი მედო, ეს იყო მთელი ჩემი ქონება და მძღოლს რომ არ შეეშინია, ისე, ჩუმად რამდენიმეჯერ ხელის კანკალით ვსინჯავდი ჩანთას, მართლა იყო თუ არა იქ იმხელა ფული და ნამდვილად მე მეკუთვნოდა თუ არა...

ამ ამბიდან რამდენიმე თვეში გავიგე, რომ გომის სპირტის ქარხნის დირექტორი დიმიტრი დუგლაძე თავისივე კაბინეტში, იქ, სადაც ლექსებს ვკითხულობდით, უცნობმა პირებმა ავტომატით ჩაცხრილეს...

ჩემს მეხსიერებაში კი დარჩა, საშუალო ტანის, ოდნავ ჩასუქებული, ნათელი სახის, პოეტური სულის კაცი, რომელმაც უანგარო და უკანმოუხედავი სიკეთე გააკეთა ერთ მშვენიერ დღეს, ერთი ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანისთვის.

როგორც ვიცი, ბატონი დიმიტრის მკვლელები ვერ იპოვეს, ან რა მნიშვნელობა აქვს, ღმერთმა ხომ იცოდა და იცის, ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ ეს კარგი ადამიანი?! ღვთის საჯელზე უფრო მკაცრი განაჩენი კი არ არსებობს.

დიმიტრი დუგლაძე ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში დაბადებულა. ქუთაისის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების მერე მუშაობა დაუწყია ახალციხის ღვინის ქარხანაში, შემდეგ ხაშურის რაიონში „გომის“ სპირტის ქარხანაში, ლაბორანტად. 1970 წლიდან „გომის“ სპირტის ქარხნის დირექტორად მისულა, 1982 წლიდან კი დაუარსებია კომერციული ფირმა „ვაზიანი“, 1994 წლიდან კვლავ

გომის სპირტის ქარხანაში დაბრუნებულა და დაუფუძნებია არყის ქარხანა, რომელიც დღემდე მუშაობს.

ბატონი დიმიტრი 2001 წელს მოკლეს.

მას შემდეგ ვერ მოვახერხე, მადლობა მეთქვა მისი კეთილი სულისთვის და დედაჩემის საცხონებლად დანთებულ სანთელთან ერთად ბატონი დიმიტრის სულისთვისაც ვანთებ სანთლებს.

წიგნაკი კი, რომელიც რუდუნებით შეინახა იმ დღეს თავისი სამუშაო მაგიდის მარჯვენა უჯრაში, არ ვიცი, სად არის, არადა, როგორ უნდოდა, რომ წიგნად გამოეცა...

იქნებ არ დაკარგულა ეს წიგნაკი?! იქნებ შესაძლებელია აღსრულდეს ბატონი დიმიტრის ეს უკანასკნელი სურვილი?

სულ მინდა, ყვავილები მაინც დავდო მის საფლავთან, სულ მინდა, იცოდეს ბატონი დიმიტრის სულმა, რომ არ დამვიწყებია მისი სიკეთე, მთელი ცხოვრება მომდევს მისი სულის ნათელი სხივი, რომელსაც, როგორც ამბობენ, დაუნანებლად უნაწილებდა თურმე ყველას — თანამშრომლებს, ახლობლებს, მეგობრებს...

დიახ, არაფერი არ იკარგება, არც კაცობა და ადამიანობა, არც დიმიტრი დუგლაძის სახე დაკარგულა ჩემს მეხსიერებაში, კაცის, რომელიც თავისი სიკეთის გაკვეთილით სულ „მაიძულებს“, ადამიანებს იმ მადლის ნაწილი ვაჩუქო, რომელიც ბატონმა დიმიტრიმ უცნობ გოგონას ანდერძივით დამიტოვა...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ირაკლი კობახიძე: სააკაშვილმა და გვარამიამ დაშალეს „ნაციონალური მოძრაობა“

უმრავლესობის ლიდერის თქმით, ოპოზიციაში ჯანსაღი პროცესები მიდის და ცვლილებების შემდეგ ქვეყანა ჯანსაღ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს მიიღებს.

„ეს არის ძალიან კარგი პროცესი. ეს ოდიოზური ფიგურები, როგორიც არიან პირველ რიგში სააკაშვილი, გვარამია, ბოკერია, შეიძლება მერაბიშვილზე და სხვებზეც ჰქონდა ლაპარაკი, ისინი შლიან დღეს „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“. ბოკერიამ დაანგრია საკუთარი პარტია და ცდილობს საფლავში ჩაიყოლოს სხვა პოლიტიკური პარტიებიც. ანალოგიურად „ნაციონალური მოძრაობის“ ოდიოზურმა ლიდერებმა, სააკაშვილმა და გვარამიამ დაშალეს „ნაციონალური მოძრაობა“. ეს არის ჯანსაღი პროცესი და ამ ყველაფრის შედეგად მივიღებთ ჯანსაღ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს. ამაში რომ ეს ოდიოზური ფიგურები გვეხმარებიან ძალიან კარგია“, - განაცხადა კობახიძემ.

ნიკოლოზ სამხარაძე: პირველი ინიციატივა იქნება რეზოლუცია საგარეო პოლიტიკის შესახებ

საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, პირველი ინიციატივა, რომელიც მეათე მოწვევის პარლამენტში დაინიციირდება, იქნება საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, საგარეო პოლიტიკის შესახებ, — ეს განცხადება დღეს საქართველოს პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძემ გააკეთა.

„ჩვენი ხელისუფლების მთავარი ამოცანაა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონების დეოკუპაცია. ამ მიზნით მეათე მოწვევის პარლამენტი დინამიურად ჩაერთვება საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზებაში და გამოიყენებს ყველა საერთაშორისო საპარლამენტო პლატფორმას, ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის დამყარებასა და დეოკუპაციაში“, — განაცხადა სამხარაძემ.

არ არსებობს ყოფილი „ნაციონალი“, ისე, როგორც არ არსებობს ყოფილი „კაგებებეშნიკი“

მიხეილ სააკაშვილი: ჩემი ბოკერია ჩემთან!

„ნაცმოძრაობის“ ბელადმა საკაშვილმა ბრძანება გასცა: **„ჩემი ბოკერია ჩემთან“** — და ბოკერიაც კასტრირებული ბულდოგივით მორჩილად მოცუნცულდა და ფეხებთან გაუგორდა პატრონს და მბრძანებელს.

„კასტრირებულ ბულდოგს“ სხვებიც მიჰყვნენ კვალში და ყაენთ-ყაენის ბანაკს მხიარული წკმუტუნით და კუდის ქიცინით მიაშურეს: ჩვენც აქა ვართ, მიგვიღე და გვიყმე, მბრძანებელოო!

სულ ტყუილი აღმოჩნდა ხალხში ლეგენდად გავარდნილი ამბავი: ბოკერია, ბაქრაძე, უგულავა და სხვები სააკაშვილს გამოეყვნენ და მტრად მოეკიდნენო.

ადამიანები ვერ მიხვდნენ, რომ თავიდან ბოლომდე კგბ-ის სისტემაზე აგებული „ნაცმოძრაობიდან“ შეუძლებელია, ვინმე წავიდეს და მთელი სერიოზულობით დაუპირისპირდეს მშობლიურ ორგანიზაციას, რადგან „მშობლიური ორგანიზაცია“ წინასწარ იჭერს თადარიგს, რომ მისმა ყოფილმა წევრებმა ასეთი რამის გაკეთება ფიქრადაც კი არ გაივლონ.

ზუსტად ამ კაგებეშნიკური მეთოდებით იმუშავა „ნაცმოძრაობამ“ და მის წევრებზე, განსაკუთრებით მის ელიტურ ნაწილზე, უამრავი კომპრომატი, უამრავი მამხილებელი დოკუმენტი დააგროვა, რომელთა გამომზეურება და საჯაროდ გამოტანა საბოლოო წერტილს დაუსვამს მათ პოლიტიკურ კარიერას. „ნაცმოძრაობა“ არა მარტო თავისი მოწინააღმდეგეებისა და ოპონენტების შესახებ აგროვებდა ინფორმაციებს, არამედ, პირველ ყოვლისა, იმაზე ზრუნავდა, რომ თავისი წევრების საქმიანობა გაეკონტროლებინა ბოლომდე და მათ შესახებ რაც შეიძლება მეტი კომპრომატი მოეპოვებინა.

„ნაცმოძრაობა“, ფაქტობრივად, უზარმაზარ ქსელს ფლობდა, რომლის მიზანიც იყო ფარული ვიდეო და აუდიოჩანაწერების გაკეთება, მიჭურადება, თვალთვალი, დასმენა, ჩაშვება, სექსაგენტების მიგზავნა.

ქსელის მუშაობაში ჩართულნი იყვნენ სასტუმროები, საუნები, ტაქსები, ქუჩის ბოზები, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები, ე.წ. ელიტური მეძავები.

„ნაცმოძრაობა“ აკონტროლებდა ყველას და ყველაფერს, მოპოვებულ მასალებს კი აუდიო და ვიდეოთეკებში „ასაწყობებდა“.

სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილი 26000 ფაილი მხოლოდ ნაწილია „ნაცმოძრაობის“ საიდუმლო „კინოსტუდიაში“ შექმნილი კოლოსალური რაოდენობის პროდუქციისა.

როგორც ამბობენ, ნაციონალები ერთმანეთს საწოლ ოთახებშიც კი უმონტაჟებდნენ ვიდეოკამერებს, შემდეგ კი კოლექტიურად უყურებდნენ კადრებს, თუ როგორ ამყარებდა მათი კოლეგა სექსუალურ კავშირს საკუთარ ცოლთან.

აი, ასეთი და ამნაირი „ნაციონალური მოძრაობა“, ცხადია, მკაცრი „ზედამხედველობის“ გარეშე არ დატოვებდა მისი ელიტური ნაწილის ისეთ წონიან წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ ბოკერია, ბაქრაძე, უგულავა და სხვები, რომლებიც მოგვიანებით „ნაცმოძრაობას“ გამოეყვნენ და დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნეს სახელწოდებით „ევროპული საქართველო“.

სააკაშვილი, რომელიც დიქტატორული მეთოდებით მართავდა ქვეყანას და რომლის გარეშეც არც პარტიაში, არც სახელმწიფოში არ მიიღებოდა არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ცხადია, საქმის კურსში იყო, რას აკეთებდა თითოეული მისი „ქვეშევრდომი“ და, მათ შორის, ის ადამიანები, რომლებმაც გაბედეს, სააკაშვილისგან წავიდნენ და თან ხელს გააყოლეს ოცამდე დეპუტატი, რომლებიც პარლამენტში „ნაცმოძრაობის“ პარტიული სიით მოხვდნენ.

ამ სკანდალურ მეგობრულ აქტს სააკაშვილის მხრიდან დიდი აღშფოთება და განრისხება არ მოჰყოლია, თუმცა ბევრი თვლიდა, რომ განდგომილთა ჯგუფი „ქართულ ოცნებას“ მიეყიდა და ბელადს ზურგში ლახვარი ჩასცა.

ექსპერტთა ნაწილმა „ევროპული საქართველოს“ „ნაცმოძრაობისგან“ გამოყოფა „ნაცმოძრაობის“ დაშლის დასაწყისად მიიჩნია, თუმცა დრო გადიოდა და „ნაცმოძრაობას“ დაშლის და დასუსტების არაფერი ეტყობოდა.

მართალია, სააკაშვილსა და „ევროპული საქართველოს“ ახლადგამოჩეკილ ლიდერებს შორის შიგადაშიგ ხდებოდა უსიამოვნო რეპლიკებისა და ეპითეტების დისტანციურად გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ საქმე სერიოზულ დაპირისპირებამდე არ მისულა.

დადიოდა ხმები, რომ „ევროპული საქართველო“ და „ქართული ოცნება“ ფარულად მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, რაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში იმით უნდა დაგვირგვინებულიყო, რომ „ქართული ოცნების“ ხელშეწყობით „ევროპული საქართველო“ უნდა ქცეულიყო მთავარ ოპოზიციურ ძალად და ოპოზიციურ ველზე „ნაცმოძრაობის“ ჰეგემონური მდგომარეობა ამით უნდა დასრულებულიყო.

ამ ხმებს ძალზე კრიტიკული რეაგირება მოჰყვა როგორც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა მხრიდან, ასევე სხვა ოპოზიციური პარტიების მხრიდანაც, თუმცა ამ უკანასკნელთა პროტესტი საჯაროდ არ გაჟღერებულა და უკმაყოფილო განწყობა უფრო მეტად კულუარებში ვრცელდებოდა.

დადგა 31 ოქტომბერი, არჩევნების დღე და ნათელი გახდა, რომ სიცრყე იყო როგორც „ნაცმოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ მტრობის, ასევე „ქართული ოცნების“ და „ევროპული საქართველოს“ მოყვრობის ამბავი.

როგორც იტყვიან, ყველაფერი თავის ადგილას დადგა და გაირკვა, რომ „ევროპული საქართველო“ კვლავ თავისი დედა პარტიის, „ნაცმოძრაობის“ ერთგული თანამებრძოლი და მოკავშირეა.

ეტყობა, სწორია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სააკაშვილმა ბოლო ხანებში ბრჭყალები გამოაჩინა და „ევროპული საქართველოს“ „გაბლატავებულ“ ლიდერებს შემოუთვალა: თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ, ვისთან გაქვთ საქმე? ერთი ადგილი დააყენეთ, თორემ თქვენი კაიკაცობის ამბებს მთელ მსოფლიოს მოვფენო.

ვინ-ვინ და, ბოკერიამაც, უგულავამაც და ბაქრაძემაც შესანიშნავად იციან, რომ მათი ყოფილი უფროსი მათ შესახებ ყველა ინ-

უკუღმა დაწერილი წერილი უკუღმართებზე

ფორმაციას ფლობს და მათი მამხილებელი დოკუმენტები დასტადასტად აქვს დალაგებული და ტომებად აკინძული.

გახსოვთ, ალბათ, სააკაშვილს ადრეც რამდენჯერმე აქვს ბოკერიასთვის ყვითელი ბარათი ნაჩვენები.

ჯერ იყო და მიშამ ბოკერია უღმერთობასა და ეშმაკის მოციქულობაში დაადანასაულა — მე ტრადიციების მიმდევარი კაცი ვარ, ქრისტიანი, მართლმადიდებელი. აგერ, ჯვარი მკიდია კისერზე... ჰოდა, ბოკერიამ ბევრჯერ სცადა, ეს მართლმადიდებელი ადამიანი სწორი გზიდან გადავეცდინე, მაგრამ არაფერი გამოუვიდაო.

ერთი შეხედვით ზერელედ და ზედაპირულად ნათქვამ ამ რეპლიკაში ბოკერიას ვინაობის შესახებ ძალზე მძიმე და სერიოზული საიდუმლოს კონტურები ისახება, რომლის გახსნა და გაშიფრვა ბოკერიასთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, შეიძლება, უკიდურესად დამაზიანებელი და დამანგრეველი აღმოჩნდეს.

აი, ამაზე მიანიშნებს სააკაშვილი ბოკერიას და უნდა ვივარაუდოთ, რომ ბოკერიამაც კარგად იცის, სად უკაკუნებს სააკაშვილი.

— ბოკერიას მარტო მოლაშვილის საქმე ეყოფაო, — მეორედ ასეთი ფრაზა ისროლა სააკაშვილმა ბოკერიას მისამართით და ბოკერიამ ამ შემთხვევაშიც შესანიშნავად იცის, სად ურტყამს სააკაშვილი.

სააკაშვილმა ასევე ზედმიწევნით ზუსტად იცის, რა „საგმირო საქმეები“ აქვთ ჩადენილი უგულავას, ბაქრაძეს, სხვებს და სხვებს.

აქედან გამომდინარე, ვერც ეს ადამიანები და ვერც სხვები, რომლებიც თავის დროზე ანგარიშგასაწევ ფიგურებს წარმოადგენდნენ „ნაცმოძრაობაში“, ვერასოდეს წავლენ „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ, რადგან თითოეულ მათგანზე, საჭირო ადგილას, მათი მამხილებელი და მაკომპრომეტირებელი უამრავი მასალა ინახება, რომლებიც იმწამსვე იხილავს დღის სინათლეს, როგორ კი ამის საჭიროება დადგება.

ღრმად ცდება, ვინც ფიქრობს, რომ „ნაციონალის“ გადმობირება და „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად გამოყენება შეიძლება.

„ნაციონალი“ შეიძლება თქვენს გუნდში გადასვლაზე და თანამშრომლობაზე დაგთანხმდეთ, მაგრამ, იცოდეთ, ეს ყველაფერი მისი ორგანიზაციის (ამ შემთხვევაში, „ნაცმოძრაობის“) ხელმძღვანელობასთან იქნება შეთანხმებული და დასტურმიცემული.

პორტირებული ნაცი ჩვეულებრივი ტროას „ცხენია“, საკუთარ სახლში ნებაყოფლობით შემოშვებული აგენტია, ჯაშუშია, რომელსაც ინფორმაციები მიაქვს თავისი ძველი პატრონებისთვის.

ამას დაუმატეთ ე.წ. „პლენში ჩარჩენილები“, ანუ ადამიანები, რომლებიც თავის დროზე „ქართულ ოცნებაში“ ჩანერგა „ნაცმოძრაობამ“ და რომლებიც 2012 წელს „ქართული ოცნების“ მოულოდნელი გამარჯვების შემდეგ „პლენში“ ჩარჩნენ და დღემდე იქ არიან.

კრიზისული სიტუაციის დროს ყველანი ესენი პირველსავე დაძახებაზე იქ გადაბარგდებიან, საიდანაც გადმობარგდნენ.

— ჩემი ბოკერია ჩემთან! — გასცა ბრძანება სააკაშვილმა და ბოკერიაც მყისვე მიცუნცულდა.

სხვებიც ასევე მიცუნცულდებიან, რადგან ისინი თავიანთი ცოდვებით სამუდამოდ არიან მიჯაჭვულნი „ნაცმოძრაობის“ დედაბოძთან.

როგორც ვთქვით, როგორც არ არსებობს ყოფილი „კაგებეშნიკი“, ასევე არ არსებობს ყოფილი „ნაციონალი“.

ვახტანგ ხარჩილავა

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო „ნაცმოძრაობის“ ლიდერშიფს — „ნაცმოძრაობის“ „კონსულტანტს“ მიხეილ სააკაშვილს, „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს ნიკანორ მელიას, გრიგოლ ვაშაძეს, ზაალ უდუმაშვილს, თინათინ ბოკუჩავას და სხვებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობის“ 36-კაციანი დეპუტატაცია პარლამენტში არ შეშავებულიყო, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ჩვენს ნერვულ სისტემას.

ასევე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გიგა ბოკერიას, დავით ბაქრაძეს, გიგი უგულავას, გიორგი ვაშაძეს, ელენე ხოშტარიას, თაკო ჩარკვიანს, შალვა ნათელაშვილს, რომლებმაც მთელი ენერგია იქითკენ მიმართეს, რომ როგორმე გამოესწორებინათ თავიანთი მხარდამჭერების უხეში შეცდომა და მათ მიერ არჩეული დეპუტატები პარლამენტს გარეთ დაეტოვებინათ.

ცამდე მართლები არიან ოპოზიციის ლიდერები — რა უნდათ ოპოზიციის დეპუტატებს პარლამენტში — მათი უმრავლესობის ადგილი ქუჩაში, ციხეში ან მონასტერშია, რომ ბნელ სენაკებში დილიდან დილამდე ილოცონ და ღმერთს ცოდვების პატიება შესთხოვონ.

ოპოზიციის ლიდერებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ნამდვილი პატრიოტები არიან, რომლებიც ისეთ დიდ პატივს სცემენ თავიანთ ქვეყანას, რომ საკუთარ თავს უფლება არ მისცეს, თავიანთი უბადრუკი არსებობით, თავიანთი დანაგვიანებული ბიოველით ქვეყნის წმინდათაწმინდა ადგილი, პარლამენტი, დაებინძურებინათ და წაებილწათ.

როგორი თვითკრიტიკული დამოკიდებულებაა საკუთარი თავისადმი!

როგორი ზუსტი შეფასებაა საკუთარი პერსონისა!

როგორი თვითგვემაა!

როგორი სტოიციზმია!

მალადეც! ცავატანემ! საღოლ!

ერთმანეთს ბოლომდე არ ენდნენ და ვინმეს ფეხი არ შეუცდეს პარლამენტშიო და, ნებსით თუ უნებლიეთ, სამშობლოს არ უღალატოსო, მემორანდუმი გააფორმეს და ხელი მოაწერეს — ვინც პარლამენტში შევიდეს, დედა შეერთოს ცოლადაო.

არა, ეს ბოლო წინადადება მემორანდუმში არ ჩაუწერიათ, მაგრამ ჩაწერა რად უნდოდა — ეს ისედაც იგულისხმება.

მართალია, მსგავს შეთანხმებას „ნაცმოძრაობის“ სექსუალურ-ეროტიკული ხასიათის სანოტარო კანტორაში — „ნიკა მამიდას ბორდელი“ უკვე რამდენჯერმე მოაწერეს ხელი, მაგრამ კიდევ ერთი დამატებითი ხელმოწერა სულაც არ უნდა იყოს ზედმეტი.

ძალიან ნამუსიანი ხალხია ეს ოპოზიციონერები.

ნახეთ, როგორ კატეგორიულად ამბობენ, როგორი პირდაპირობით აცხადებენ: არჩევნები გაყალბდაო.

— არა, როგორ გეკადრებათ, არჩევნები არ გაყალბებულა, თქვენ პატიოსნად და დამსახურებულად მოიპოვეთ მანდატები. თუ გინდათ, ხელახლა გადავთვალოთ უბნები და ნახავთ, რომ ყველაფერი წესიერად და კეთილსინდისიერად გაკეთდაო, — ეუბნებიან ელჩები და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, მაგრამ ამათ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, — გაყალბებულია არჩევნები, ამას წყალი არ გაუვა, გაყალბებულია, თორემ „ნაცმოძრაობა“ ხმების 27%-ს როგორ მიიღებდა, ან ბოკერია-უგულავა-ბაქრაძეს, ან „გირჩს“ და „ლელოს“ საიდან მოუგროვდა ამდენი ამომრჩეველი? უკადრებელს ვერ ვიკადრებთ და გაყალბებული შედეგებით პარლამენტში ვერ შევალთ. კი, საწყენია, რომ ერთპარტიული პარლამენტი მივიღეთ, ჩვენც ძალიან განვიცდით ამ ამბავს, მაგრამ, სჯობს, პარლამენტში ერთი პარტია იჯდეს, ვიდრე ცხრა, საიდანაც რვა პარლამენტში გაყალბებული ხმებით მოხვდაო.

მოკლედ რომ ვთქვათ, რამდენიმე სულმოკლე სუბიექტის გამოკლებით, მაღალზნეობრივი და სპეტაკი ადამიანებითაა დაკომპლექტებული ეს ოპოზიცია...

●

რაღაცნაირად უკუღმართად დაწერილი წერილი გამომივიდა, სადაც ყველაფერი უკუღმა უნდა წაიკითხო და უკუღმა უნდა გაიგო.

როგორც ჩანს, ამ უკუღმა დატრიალებულ წუთისოფელში წაღმა წერას გადავეჩვიე და უნდა მაპატიოთ, ძვირფასო მეგობრებო!

გნატხავ ავალიჩრახ (ვახტანგ ხარჩილავა)

მანდატგადახეულები და შუბადახეულები

ის იყო, წერად დაჯდომა დავაპირე (ჰაზრთა საქსოვად), ჩემ ტელეფონზე ზარი გაისმა. ქუთაისიდან დარეკა ერთმა კარგმა, ამ ქვეყანაზე შეყვარებულმა კაცმა – ჯერ შეგვაქო, ნამუშევრები მოგვიწონა, თქვენი გაზეთი ხელიდან ხელში გადაგვაქვსო, თუ რომელიმე ჯიხურში გაუყიდავი დარჩა, ნერვები მეშლებაო. ახალი წელიწადიც მოგვილოცა და ერთი იდეაც შემოგვთავაზა... უფრო სწორად, მოგვიწოდა, ე.წ. ოპოზიციონრებს შევეშვათ, მათ იგრძნეს, რომ გადაშენების პერიოდი დაუდგათ და ამას საკუთარი ინიციატივით აკეთებენო. ბუნებრივია, მადლობა ვუთხარი ამ ადამიანს, მეც მივულოცე, ჯანმრთელობა ვუსურვე და შევთავაზე, ეს მოწოდება თქვენი სახელით "გავაჟღეროთ"-მეთქი. არაო, ჩემი გვარ-სახელი საჭირო არ არი, უბრალოდ ე.წ. ოპოზიციას თავი დაანებეთ, ხელი არ შეუშალოთ, კისრებს თავადვე წაიმტვრევენ, პროცესი უკვე დაწყებულიაო.

ვეთანხმები... დაე წაიმტვრიოს კისერი ყოვლად ურჯულომ, წუწკმა, გათახსირებულმა ოპოზიციამ და წაიღოს პოლიტიკური წერილი გალმა, მარილზე, მაგრამ... ჩვენ, ჟურნალისტებმა როგორ გავატაროთ ის "მარგალიტები", რომელიც ასე უხვად ასხია იმავე ოპოზიციას? არა და ვერა... აი, თავად ნახეთ, დღეს საქართველოში რაღაც ანომალიური სიტუაციაა: ჩატარდა არჩევნები, იყო 1%-იანი ბარიერი, ზოგმა გადალახა, ზოგმა – ვერა. ეხლა მიადგნენ გადაულახავები ძლივ გადალახულებს და ეუბნებიან (ამბობენ, აშანტაჟებენ კიდევაცო), პარლამენტში არ შეხვიდეთ, მანდატები დაწვითო, დახიეთო, ფერფლი მტკვარს გაატანეთო!

ვინ არიან გადაულახავები? ირაკლი ოქრუაშვილი, დავით ჭიჭინაძე, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, ნინო ბურჯანაძე, კახა კუკავა, ეკა ბესელია და სხვები. ესენი ფაქტობრივად არავის სჭირდება, ფორმალურად დაპრაკუნობენ შალიკო ნათელაშვილის ფანჩატურში... თუმცა ხელს კი აწერენ ყველა "დოკუმენტზე", რომელსაც ადგენენ გადალახულები თავიანთი ჩიქორთული ქართულით. მეტიც, გადაულახავები გამოდიან ტელევიზორში დასეტყვილი ინდაურებივით და ამტკიცებენ (ქაღალდზე ხელსაც აწერენ), პარლამენტში ცოცხალი თავებით არც ჩვენ შევალთო!

კი, მაგრამ თქვენ ხომ არც ისე შედიხართო?

ჰმ... გეგონოთო!

აბა, რანაირად, ბარიერი ვერ გადალახეთო!

ჰმ... ეგ სიმბოლურად ვერ გადავლახეთ, გაზაფხულზე ხელახალი არჩევნები ჩატარდება, გადავლახავთ კი არა, ამ ხელისუფლებას სანაგვეზე გავისტუმრებთო.

ესე იგი, არარსებულ მანდატებს ავანსად ხევთო?

რაც გინდათ, ის დაარქვით, არჩევნები გაყალბდა, მორჩა, გათავდა, დროშები ჩქარა, ცეცხლის მზე აენთო, მიშა ჩამოდიო!

ჰა, ჰა, ჰა... ნინა ძალო (ბურჯანაძე) იძახის, მიშა, ჩამოდიო.ეს ის ქალია, თავი გმირად რომ მოჰქონდა... კიდევ ის ქალია, შარშან, შარშანწინ და იმის წინ სასამართლოში მიშას წინააღმდეგ ჩვენებებს რომ აძლევდა, 2011 წლის 26 მაისს დამჩაგრაო. წარმოუდგენელი რაღაცები ხდება, ხალხო, ესენი აქ აღარ არიან, სადღაც სხვა განზომილებაში დაფარფატებენ. ნინა ძალო, პუტინთან რომ დაკუსკუსებდა "კლეჩატი" "პრავიზონკით", ჩამომჯდარა "პროდასავლელ" გვარამიასთან და იმაზე ბჭობს, როგორ უნდა დახიოს არარსებული მანდატი.

თუმცა!

არ დაგავიწყდეთ, მას აქვს ისეთი ძვირფასი შუბა, რომლის დახევაც (სავარაუდოდ) უფრო მტკივნეული იქნება, ვიდრე მანდატისა. ეგ ის შუბაა, 2001 წელში მამამ რო უყიდა საჩუქრად, პარლამენტის თავმჯდომარედ დაწინაურებასთან დაკავშირებით. მართალია, მაშინ მამა ანზორმა ჩაუწყო ძია ედუარდთან, მაგრამ ჩაწყობის შეფერებასაც ხომ ნიჭი უნდა? ჰოდა, შეიფერა "წიოწია ნინამ" ცოტა ხანს... მერე მიშას მოვალეობასაც ასრულებდა (ალბათ გახსოვთ) ორჯერ და როცა საპარლამენტო არჩევნებისას საკუთარი კვოტა მოითხოვა, ამოაწევინეს ერთი ადგილი "კრესლოდან". მაშინ გაიბუტა, ისე წარმოაჩინა, გეგონება ოპოზიციონერი გახდა, თურმე თამაშობდა, თავის გეგმებს აწყობდა. არ გამოუვიდა. ადრეც დავწერე და ახლა უნდა გავიმეორო... უფრო სწორად, ცოტა უკეთესად უნდა დავწერო:

2012 წლის ზაფხულია, "ნაცმოძრაობა" მიფარჩაკებულია. ნინო ძალომ გაიგო, რომ ბიძინა ივანიშვილს შევხვდი და მცირეოდენ მაგაზეც იყო საუბარი (პრესაში გამოვაქვეყნე). მეორე დღეს თავის კაბინეტში დამიმარტოხელა.

შევედი თუ არა, კიკინები გაიშალა – კიდევ რა გითხრა ბიძინამ ჩემზეო?!

არაფერი-მეთქი.

ჰმ... რას ჰქვია, არაფერი? თვალებზე გეტყობა, რომ კიდევ რაღაცა გითხრაო!

არა, რას ამბობთ... რომც ეთქვა, ამბავს ხომ არ მოგიტანთ-მეთქი?

მაგ კაცს რა უნდა ჩემგანო?!

ვაააა... მე რა ვიცი-მეთქი?

რატომ არ მხვდებაო?!

არც ეგ ვიცი-მეთქი.

არა, დარწმუნებული ვარ, ჩემზე რაღაცები გელაპარაკა, აუცილებლად უნდა მითხრაო!

ვერა-მეთქი.

კარგიო. წამოხტა და დაიწყო ბოლთის ცემა, მერე კედლებზეც დაიწყო სიარული, არ არი ეგ კაი კაციო.

რამდენიმე დღეში ბიძინა ივანიშვილს "სახალხო კრების" ლიდერები მიუგზავნა, შემხვდეს, კოალიციაში მიმიღოსო. ბატონ ბიძინას არ უნდოდა, მაგრამ ხათრით დათანხმდა. თან ყველა გააფრთხილა, შედეგი არ იქნებაო.

ნინო ძალო შეხვდა. ხელი ჩამოართვა, სურათი გადაიღო, ჩაი დალია და იმედგაცრუებული დაეშვა სოლოლაკიდან. აი, მას შემდეგ ჩაიდო გულში ბოღმა.

ხშირად იმასაც ამბობს (წაიტრაბახებს ხოლმე), მე არ მინდოდა, თორემ ივანიშვილთან საერთო ენას გამოვნახავდიო. "სახალხო კრების" ყოფილო ლიდერებო, გამოდით, თქვით, როგორ ეხვეწებოდით ბიძინა ივანიშვილს, პატრიოტია, გვერდით დაიყენეთო. ხომ გამართლდა მისი სიტყვები? ხომ აღმოჩნდა ფარული "ნაცი"? სხვათა შორის, 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შემდეგ მეც არ მეგონა, მიხეილ სააკაშვილთან თუ იყო გარიგებული, ვერ წარმოვიდგენდი. თქვენ კი თხებივით გაგყიდათ, დღეს იმ დამნაშავეებთან დგას, რუსთაველზე რომ ჩაგხოცეს. სირცხვილი და თავის მოჭრა!

იცით, ყველაზე ამაზრზენი და აუტანელი რა არის? წლების შემდეგ ისევ ყოფილები რომ ბლატაობენ. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე – თავი ვერაფრით გამოიჩინა, ერთი ხე არსად დაურგავს. იმდენად უსახურად იმსახურა ამ თანამდებობაზე, ალბათ ჟამთააღმწერელი საერთოდ გამოტოვებს, ისტორიაში ვერც კი დაფიქსირდება. თუმცა აქვს ერთი შანსი, ვლადიმერ პუტინს რომ შეხვდა "კლეჩატი პრავიზონკით", ეგ მომენტი უნდა შევიტანოთ ისტორიულ წყაროებში, მაგრამ აქ ისევ ჩნდება ერთი საჩოთირო "მაგრამ", რა უნდა დაწეროს ჟამთააღმწერელმა, რაო, რისთვის შეხვდა, რა გადაწყვიტესო, რა უნდოდათო? არაფერი!

შევეშვათ "წიოწია ნინას", თავი რკინის ლედი რომ ჰგონია და სინამდვილეში რკინის ღვედიც არ არი... იმას ვამბობდი, ძალაუფლების გარშემო ისევ ყოფილები დასუნსულებენ – უგულავები, ბოკერიები, ბაქრაძეები, ბობოხიძეები, იმანოები, ამანოები... ძაღლებივით იწევენ, ძველი "დიდების" დაბრუნებას ლამობენ, მაგრამ არ გამოსდით, ვერც გამოუვათ, რადგან ჩვენ (ხალხი) მაგათზე ჭკვიანები ვართ.

გამოგიტყდებით... გული ძალიან მწყდება ხოლმე, როცა ბიძინა ივანიშვილის მიერ ოდესღაც კაცად ქცეული გამოშტერდება და რაღაც ნაძირლობებს წამოაწვენს ხოლმე. ნახეთ, რას ბოდიალობს გიორგი მარგველაშვილი, ყოფილი პრეზიდენტი:

"შეიძლება არც გაყალბებულა არჩევნები... თუმცა მაინც ხელახალი არჩევნებია ჩასატარებელი, რათა კრიზისი ავიცილოთ".

როგორ ფიქრობთ, ეს ნორმალურია? ჩემი აზრით, ძაან მაგრად ასხია და შესაბამისად, ძაან მაგრადაც სცვივა!

არაო, კაცო, შეიძლება არჩევნები საერთოდ არ გაყალბებულა, მაგრამ ხელახლა მაინც უნდა ჩავატაროთ, რათა კრიზისი ავიცილოთო. რა კრიზისი უნდა ავიცილოთ, რამდენიმე თავგასიებულს რევოლუცია რომ მოუნდა? რამდენიმე უდღეურის თავში ქარიშხალი რომ ამოვარდა? რამდენიმე უბედურს ისევ მაღალი თანამდებობა რომ უნდა? "დავაი", მარგველ, კარტოფილი დათესე, საღამოს ერთი ჭიქა არაყი გადაჰკარ, ტოლი მოძებნე, კოჭი გააგორე, ფისი ქენი, დაიძინე!

არარაობა იყავ, კაცმა პრეზიდენტად გაქცია, მაინც ვერ შეიფერე, ვერ გაქაჩე, ფორმალურად დაბოდიალობდი, ფორმალურად მიედმოედებოდი. ისევ გინდა? რა გინდა? პრეზიდენტობა? უკვე გითხარი, ფისი ქენი, დაიძინე-მეთქი!

მე პირადად ბედნიერი ვიქნები, თუკი არც ერთი "ნაცი" არ იქნება პარლამენტში. ამაზე ვოცნებობ. დიახ, ვეთანხმები იმ ქუთაისელ კაცს, თითქოს (ერთი შეხედვით) ჰარაკირს იტარებენ, მაგრამ ამავე დროს ცდილობენ, თავი გადაირჩინონ, ამ დღეებში თავიანთივე მომხრეების "დასამშვიდებლად" ახალი სისულელე გამოაგდეს შეკითხვით: ვინ იქნება კარგი პრემიერი – ნიკა გილაური, მამუკა ხაზარაძე, გიორგი ვაშაძე თუ ბათუ ქუთელიაო? აჰა, თავიანთ "სასტავებში" გამოკითხვებს ატარებენ, პრემიერად ვინ გინდათო? იცით, ამას რატომ აკეთებენ? ტემპი რომ არ დაუვარდეთ, იმიტომ. მართალია, აღარც ტემპი აქვთ, აღარც "გნასი", მიწოლითაც ძალიან ძნელად იქოქებიან, მაგრამ გიჟებმა იციან ხოლმე რაღაც-რაღაცების ამოჩემება – ამჯერად პრემიერის თანამდებობაზე აქვთ გაჭედილი... აბა, რა გგონიათ, მარტო ინტერნეტი ჭედავს ხოლმე?

და ბოლოს, მეგობრებო... იცით, რატომ გაიჭედნენ ეს საცოდავები? ფული აქვთ აღებული თემურ ალასანიასგან, პირობა აქვთ დადებული, რომ არ უნდა "გაუპრავონ" ბიძინა ივანიშვილს არჩევნები. ამ დროს ბიძინა ივანიშვილს საერთოდ არ სჭირდება ამათი "გაპრავება", ყველამ კარგად იცის, რომ არც არჩევნები გაყალბებულა და არც ვინმეს მოსყიდვას ჰქონია ადგილი, ამ ქვეყანაში არჩევნებს აყალბებს მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობა"!

ეს იციან უცხოელმა დამკვირვებლებმაც, დიპლომატებმაც და ელჩებმაც. ამიტომაც მიდის მათზე მასირებული შეტევა მიხუინების მხრიდან. ეგეც თქვენი პროდასავლური ძალა! ალბათ გახსოვთ ჩემი წინა წერილები, სადაც ხაზგასმით ვწერდი, რომ ესენი არიან რუსეთის აგენტები, რა მედასავლეთეები, სადაური პროამერიკელები? მეტიც, ესენი არიან მოღალატეები!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ანარხისტი შალალო

პოლიტიკური ნოველა

მან თვალები დახუჭა, რამდენიმე წამით ჩაფიქრდა, შემდეგ ამოიხვნეშა, ხვნეშას რვა წლის განმავლობაში დაგროვილი დარდი ამოაყოლა, გადაცემის ჩასუქებულ წამყვანს ნაღვლიანი თვალებით გადახედა და დაიწყო:

— იცით... რაღა დაგიმალოთ და ეხლა მე ანარხისტი ვარ, ჩემო ქალბატონო!

— ბატონო შალალო... ადრე უფრო დიდი უბედურება არ იყავით?! — გადმოკარკლა თვალები წამყვანმა, თან ლოყები აუღაჟღაჟდა.

— ჰმ... ადრე ფედერალისტი ვიყავი.

— ეგრეც მახსოვდა... თუმცა მე მინდა გკითხოთ, ანუ თქვენთან შეკითხვით გადმოვიდე, ფედერალისტი იგივე ლეიბორისტს ნიშნავს, ხო?

— დაახლოებით იგივეა, მაგრამ არის მცირეოდენი განსხვავებაც.

— ვერ ვხვდები, რა განსხვავება უნდა იყოს?

— ლეიბორისტებში ბევრნი ვიყავით, ფედერალისტებში მარტო მე და გუგავა დავრჩით.

— ეგ რომელია, ყველგან როა?

— დიახ, ეს ის ლეგენდარული გუგავაა, მე რომ გადმოვაყუდე მეტეხიდან და განვაცხადე, აწი სადმე უთოც რომ გაგიფუჭდეთ, გამოიძახეთ-მეთქი.

— ჰო, მაგრამ სუ ვიძახებ და არ მოდის, თქვენც მოგვატყუეთ, ბატონო შალალო!

— მე მოგატყუეთ?!

— მოგვატყუეთ... ნუ, როგორ გითხრათ... გუგავას ჭრილში არ გამოგივიდათ მთლად კონსენსუნსური ნარატივი.

— ჰმ... აგერჩიეთ, დალოცვილებო, ჩეგებარებინათ ქვეყანა ანარხისტებითვინ და გუგავა თქვენ სასთუმალთან დაისადგურებდა, ჩემო ქალბატონო!

ქალბატონი წამყვანი ჩაფიქრდა... რაც გულში გაივლო, იმას მიკროფონთან ვერაფრისდიდებით ვერ იტყოდა, ისედაც გადარეულ ანარხისტს უფრო ვერ გააღიზიანებდა. მაინც რა გაიფიქრა, რას ვერ იტყოდა ქალბატონი წამყვანი, ნეტავ რას მოერიდა? მან წარმოიდგინა, როგორ გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ანარხისტი შალალო, როგორ გადაიბარა თვლით ძალაუფლება და როგორ ჩაიმუხლა მის სასთუმალთან გუგავამ. ჰოდა, იმ წამსვე გაიელვა მის გულში წინაპართაგან ნასროლმა სიტყვებმა: "უიმეეეე... დაგწყევლოთ მამალმა ეშმაკმა"!

— ქალბატონო წამყვანო, რა გჭირთ, ისევ გამოშტერდით?! — გაისმა წამყვანის ყურში პროდიუსერის ჭყვიტინა ხმა.

— აჰ, ხო, მე მინდა, ბატონო შალალო, რომა... პირდაპირ გადმოვიდე თქვენთან ალაევერდს კი არა და... შეკითხვით გადმოვიდე და... დაგისვათ ეს შეკითხვა მაგიდაზე. ძალიან გთხოვთ, გულწრფელად მიპასუხოთ, — ათუხთუხდა ისევ ჩათქვირებული წამყვანი, შეკითხვის დასმის დროს ხელებსა და ფეხებს თითქმის ერთ დონეზე პარჭყავდა.

— შე ბოზო, მე ყოველთვის გულწრფელი ვიყავი, ვარ და ვიქნები, ანარხიზმში უფრო მეტი გულწრფელობაა, ვიდრე ლეიბორიზმსა და ფედერალიზმში, აზრზე ხარ?!

— რა თქვით? — გაშეშდა ლამის ჰაერში შემხტარი წამყვანი.

— უკაცრავად, არაფერი, — შალალოს ალმური აუვიდა სახეზე, მიხვდა, რომ მაგრად მიჰქარა.

— არა, როგორ თქვით... შე ბოზოვო?

— მაპატიეთ, არ მინდოდა, ასე რომ გამოსულიყო, ხო იცით, ნატანჯი კაცი ვარ, 30 წელიწადია ქუჩაში ვიბრძვი სამართლიანობითვინ, მანამდე კომუნისტებსა ვყავდი დამწყვდეული პროკურატურაში, ლამის სული ამომხადეს... ნერვები მღალატობს ხოლმე, — გადავიდა თავის მართლებაზე შალალო.

— არა, ისე ლამაზადა სთქვით, შე ბოზოვო, გამიკვირდა.

— მართლა ლამაზადა ვსთქვი?

— ძალიან... თანაც საყვარლად.

— სხვათა შორის, მე ინტიმურ საკითხებზეც მაქვს სალაპარაკო თქვენთან...

— ბატონო შალალო, დღეს მაოცებთ, არაფერი შეგეშალოთ, პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება არავის აქვს, გადაიღონ, გადმოიღონ, გაავრცელონ, სულ ფეხებზე მკიდია!

— კარგი, დამშვიდდით, გეთანხმებით, მეც მიღებდნენ, მაწამებდნენ, განმიკითხავდნენ, მიყალბებდნენ, ჯვარზე მაკრავდნენ, მაგრამ მტრების ჯინაზე მაინც მაგრათა ვარ!

— კაცი რო პრემიერ-მინისტრი ვერ გახდები, ეგ არი მაგრად ყოფნა?

— კარგი შეკითხვაა, ვაფასებ თქვენ ნიჭსა და გაქანებას... მე უკვე ათასჯერ ვიყავ ამ ქვეყნის პრემიერი საკუთარ თავში. ბიძინა ივანიშვილი არ მაღიარებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვიყავი. ვიყავი, დიახაც, ვიყავი და კვლავაც მრავალჯერ ვიქნები!

— ჩვენ რატომ ვერ ვიგრძენით?

— იმიტომ, რომ ქვეყანას არ მანდობთ!

— ა�ა... აი, თურმე რაში ყოფილა საქმე.

— ბიძინა ივანიშვილი დუხებით რომ ვაჭრობდა, მე მაშინ ვიყავი პრემიერი!

— უი, ეგ როდის იყო?

— ედიკას დროსა!

— იცით, რას გეტყვით? ადამიანი ჯერ საკუთარ თავში უნდა იყო პრემიერი, მერე ოჯახში, ბოლოს კი ქვეყანაში. ორივე ვარიანტში ვიყავი და ვარ, ქვეყანას თუ არ მანდობთ კიდე, მოგიტ...ანთ დედის ტრაკი!

— ჰი, ჰი, ჰი... აი, ეს არი ექსკლუზიური სკანდალი!

— ესეც გესიამოვნა?

— ნუ, როგორ გითხრათ, ბატონო შალალო, ასეთი სექსუალური არასდროს ჰყოფილხართ პირდაპირ ეთერში. მოდით, შორს ნუღარ წავალთ, აქვე გამიმხილეთ თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ... პარლამენტში არ შედიხართ, ფული გინდათ, დაფინანსებაზე უარს არ იძახით... ესე იგი, თუ მუშაობაზე "ატკაზს" არტყამთ, ფული რაღა საჭიროა?

— ფული ყოველთვინ საჭიროა, ვენაცვალე მაგის გამჩენ-დამაარსებელსა, დამხატავ-გამფერადებელსა, ვისაც ფული არ უყვარს, ის ადამიანი არ არი. გული მიკვდება, როცა ბიძინა ივანიშვილის მილიარდებ მილიონები ემატება, ჩემ მილიონებ კიდე ათასები აკლდება. ვინ არ ეგა, მთელი საქართველო ჯიბეში რო ჩაიდო და სწუწნის?!

— ეხლა ფულის სიყვარულს მაინც ნუღა მასწავლით, რაც ვიცი, ვიცი, ეგ საგანი უძალიანმაგრესად მაქ ათვისებული!

— ჰო, კარქი, მაგ საკითხში არ გედავები, ფულის სუნსა ჩემსავით მაგრათა ჰგრძნობ და განა ეს ცუდია? მარტო ოლიგარქი უნდა ჰგრძნობდეს? მარტო იმას უნდა? ჩვენ რა, ფეტვი გვირევია? არ შევარჩენთ, დავამხობთ, გავაგდებთ, გავაძევებთ, მოვკლავთ, ჩამოვახრჩობთ!

— ღმერთო ჩემო, რა სისასტიკეა!

— როდესაც ოლიგარქი მოდის, ყოველლამე გარბევს, გწვამს, გცემს, გკუწავს, ჭრილობებზე მარილს გაყრის, გაუპატიურებს, რა უნდა უყო, არ გააძევებ? არ მოიშორებ?!

— აი, ეხლა ჩემი საკუთარი გული გადავიღეღე, შიგ ჩავიხედე, ბატონო შალალო და ვფიქრობ, ნუთუ ბიძინა ივანიშვილი ეგეთი დაუნდობელია?

— იცი, ეგ როგორ გამდიდრდა? ადამიანის ხორცი გაჰქონდა კონგოში, აბარებდა და იმდენსაც არ ნამუსიანობდა, რო ფული საქართველოში შემეეტანა, რაღაც უცნაურ ზონაში გაჰქონდა, სადაც ფული არი, მაგრამ არ არი.

— ააა... შენგენის ზონა, ხო?

— არა, მგონი ოფშორს ეძახიან... შორს ჩემგან ეგეთი რაღაცები, თუ ფულის გატანა გინდა ოჯახიდან, შე კაი დედმამიშვილო, ადექი და ახლობელს ასესხე, მიაპროცენტე, რაღა კონგოელ უმართამ ხელსა? მემრე იტყვიან, ქველმოქმედიაო, მეცენატიაო, კარქით, რა�ა, ამოიდა ყელში!

— რაღა დაგიმალოთ და... მე ერთი ქველმოქმედი ვიცი.

— დიდი მადლობა.

— თქვენ არ გგულისხმობთ.

— აბა, ვინ არის ამ ქვეყანაში სხვა დიდი მეცენატი და აღმაშენებელი? განა მე არ მოვუტანე მოსახლეობას ათეულობით მილიარდი მოგება, როცა უფასო განათლება, უფასო სამედიცინო მომსახურება და უფასო სასწრაფო დახმარება უზრუნველვყავი? საბავშვო ბაღები უფასო როა, განა გუგავას დამსახურება არ არი? ვინ არი ბიძინა ივანიშვილი? ვაჩვენებ მაგას სეირსა, ყველა ხეს მიიტანს იქ, საიდანაც წამოიღო, არ ვაპატიებ!

— რას ამბობთ, ბატონო შალალო, დენდროლოგიური პარკი უნდა დააშლევინოთ ბატონ ბიძინას?

— არავითარი დენდროლოგიური ეგ არ არი... მანდ გააკეთა კოღსაშენი, გამოუშვებს დავირუსებულ კოღოებსა, დაავადდება ამოდონა ხალხი, გაჰყიდის წამლებსა, ნახამს მოგებასა, დაჰხარჯამს მოგების ერთ პროცენტსა და იძახიან, დიდება ქველმოქმედსაო. ჰი, ჰი, ჰი... ეგ რანაირი ქველმოქმედებაა?!

— იცოდეთ, ეგ უძალიანესად უსერიოზულესი ბრალდებაა.

— უსერიოზულესი როა, ამიტომ უნდა ვამხილო!

— ბატონო შალალო, ჩვენი გადაცემის დრო ამოიწურა, ეხლა სახლში წახვალთ თუ სადმე უნდა გადაუხვიოთ?

— ჯერ არ ვიცი... საერთოდ, ამ დროს სოლოლაკში ავივლი ხოლმე სტვენით, არ მინდა, იმ კაცმა მშვიდად დაიძინოს!

— ავი ენები ამბობენ, "სპალნის" კედლებზე "გიფსო-კარდონები" აქ აკრული, გარედან ხმა საერთოდ არ შედისო.

— ჰმ... ესე იგი, ტყუილად ვიპრიწები?!

— არ ვიცი, ეგრე ამბობენ... ბატონო შალალო, უნდა დეგემშვიდობოთ, თუ სახლში წახვალთ, უკეთესი იქნება.

— კარქი, ჩემო ქალბატონო... არ დაგავიწყდეთ, რომ მე უკვე ანარხისტი ვარ!

— აჰ, ხო... ადრე რომელი უბედურება იყავით?

— ადრე ფედერალისტი ვიყავი.

ნოველა რეალურ ფაქტებზე
დაყრდნობით დაწერა
გელა ზედელაშვილმა
555 48 48 61

მცირე ჰესების მშენებლობა - პრობლემები და პერსპექტივები

ღია წერილი საქართველოს ეკონომიკის მინისტრს ქალბატონ ნათია თურნავას

ქალბატონო ნათია,

არა მგონია, საქართველოში საერთოდ ჰესებთან და მ.შ. მცირე ჰესებთან დაკავშირებული საკითხები თქვენზე უკეთ ვინმემ იცოდეს. ამ წერილის მიზანია, საქართველოს რიგითმა მოქალაქემ, რომელზეც, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია ჰესების მშენებლობაზე გადაწყვეტილების მიღება, გაათვიცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა.

ახალს არაფერს ვიტყვი, გამოკვლევებით დადასტურებულია, საქართველოში მათი პოტენციალის ათვისება საკმარისია, რომ დაკმაყოფილდეს ელექტროენერგიაზე შიდა ბაზრის დღითიდღე მზარდი მოხმარება და ელექტროენერგია ექსპორტზეც გავიტანოთ.

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან არც ისე მცირე დროა გასული და ნაცვლად იმისა, რომ მცირდებოდეს ქვეყნის ენერგოდეფიციტი, ის მუდმივად მზარდია. მცირე ჰესების მშენებლობის და ექსპლუატაციაში შესვლის ტემპი ელექტროენერგიაზე ქვეყნის მოთხოვნებს აშკარად ჩამორჩება.

სახელმწიფოსგან ჰესის მშენებლობაზე დადგენილი წესით ნებართვის მიღებისა და ეკოლოგიური ექსპერტიზის არსებობის მიუხედავად: ზოგიერთი ჰესის მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა; ზოგიერთი მშენებლობის დაწყების შემდეგ შეაჩერეს. ვფიქრობთ ინვესტორი, რომელსაც სახელმწიფოსგან დადგენილი წესით მიღებული აქვს ნებართვა ჰესის მშენებლობაზე, მუდმივად უნდა გრძნობდნენ სახელმწიფოს მხარდაჭერას. სამწუხაროდ, საქართველოში არიან პოლიტიკური პარტიები და ახირებული ადამიანები, რომელთაც გასაგები მიზეზების გამო არ უნდათ მშენებლობა, საქართველოს წინსვლა: ზოგი მიზანმიმართულად ასრულებს მეზობელი სახელმწიფოს სპეცსამსახურების დავალებას; ზოგი კი ვერ ხვდება, რომ მეზობელი სახელმწიფოს სპეცსამსახურების მიერ საუკუნეების განმავლობაში დამუშავებული, ხალხით მანიპულაციის მეთოდების გამოყენება ხდება და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს (პანკისის მოვლენები); ამას ემატება "ნაციონალების" და მათი სატელიტების პარტიულ დავალება, ხელი შეუშალონ ჰესების მშენებლობას (და არა მარტო, მას), საქართველოს წინსვლას. ისინი, ხშირ შემთხვევაში, უცხოურ სპეცსამსახურებთან ერთად სინქრონში მოქმედებენ;

ზოგ შემთხვევაში, სოფლებში, ავტორიტეტული პირები, რომელთაც მოსახლეობაზე დიდი გავლენა აქვთ, ამ სიტუაციას სათავისოდ — ანგარებისთვის იყენებენ;

ზოგი კი, როგორც ჩვენს შემთხვევაშია, საკუთარი, ვიწრო საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის იყენებს.

წინა ხელისუფლების დროს ჩამოთვლილი პრობლემები, შეიძლება ითქვას, არ არსებობდა, რადგანაც მოსახლეობის და ცალკეული პირების მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან, გამოიყენებოდა დასჯის არაცივილიზებული მეთოდები, მაგრამ აქ სხვა სახის პრობლემა ჩნდებოდა. ინვესტორს, მცირე გამონაკლისის გარდა, აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა მმართველი პარტიის ე. წ. ელიტის კომერციული ინტერესები. მოქმედი ხელისუფლება მეორე უკიდურესობაშია გადავარდნილი და ინვესტორი იძულებულია, როგორც ჩვენ შემთხვევაშია, ეძიოს გზები, როგორ დაიყოლიოს მოსახლეობა ჰესის მშენებლობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, როცა სახელმწიფოსგან ინვესტორს მიღებული აქვს ჰესის მშენებლობაზე დადგენილი წესით ნებართვა და პროექტს გავლილი აქვს ეკოლოგიური ექსპერტიზა, ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან ერთად, აქტიური მონიტორინგი უნდა გაუწიონ ჰესის მშენებლობის დაწყებას, მის მიმდინარეობას და მოსახლეობის მხრიდან ჰესის მშენებლობის შეფერხების შემთხვევაში, აქტიურად ჩაერთოს ამ პროცესებში. ქვეყანაში კანონით გათვალისწინებული ყველა მექანიზმი უნდა ამოქმედდეს და მოსახლეობისგან ინვესტორს არ უნდა შეექმნას შეფერხება ჰესის მშენებლობაში.

გურიაში, კერძოდ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე გუბაზეულზე სოფელ ხევში, მცირე ჰესის (3,04 მეგ.) მშენებლობა იყო დაგეგმილი. რაზეც სახელმწიფოსგან არის ნებართვა მიღებული და მას დადგენილი წესით გავლილი აქვს ეკოლოგიური ექსპერტიზა. ის ამჟამად ექსპლოატაციაში უნდა იყოს გაშვებული, მაგრამ სამშენებლო სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა და დაწყების პერსპექტივა თითქმის ნულის ტოლია.

ერთდროულად, როცა სოფელში მიმდინარეობდა ჰესის პროექტირების დამთავრებისათვის საჭირო ბურღვითი სამუშაოები, ადგილობრივმა მოსახლეობამ, გაიოზ მამალაძის წაქეზებით, ხელი შეუშალა სამუშაოების შესრულებას. გაიოზ მამალაძე თბილისში ცხოვრობს და მხოლოდ ზაფხულში, ერთი თვით ჩადის სოფელ ხევში. მან ეკონომიკის სამინისტროში, სოფელ ხევის მოსახლეობის სახელით, გაგზავნა მუქარის წერილი, რომ ის მოსახლეობის თანხმობის გარეშე არ დაუშვებდა ხევი-ჰესის აშენებას. (ცნობისთვის: როგორც წერილის ხელმომწერების პირადი ნომრებიდან ირკვევა, ნახევარზე მეტი ამჟამად არ ცხოვრობს ამ სოფელში).

ამან ჩვენში დიდი გაკვირვება გამოიწვია. როცა დაიბადა იდეა ჰესების აშენებაზე ა. ტყებუჩავა (ის გახლავთ, როგორც ხევი-ჰესის, ასევე ნაბეღლავ-ჰესის აშენების ინიციატორი, პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი) შეხვდა მოსახლეობას, სოფლების და რაიონის, ხელმძღვანელებს. განიხილეს ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, მაშინ არავინ არ გამოსულა ჰესების მშენებლობების წინააღმდეგ, პირიქით ყველამ მოიწონა ეს შეთავაზება და აშენდა ნაბეღლავი-ჰესი.

ხევი-ჰესი არის ნაბეღლავი-ჰესის გაგრძელება. დაგეგმილი და ხალხთან შეთანხმებულია ჰესების მშენებლობის მეორე ეტაპი.

ხევის მოსახლეობა დაინტერესებულია ჰესის მშენებლობის დაწყებით. ისინი დღესაც გვიკავშირდებიან, გვეკითხებიან, თუ როდის დავიწყებთ მშენებლობას.

გურული წარმოშობის უცხოელი ინვესტორი ჩამოვიდა თბილისში, შეხვდა გაიოზს და შეკითხვა დაუსვა, თუ რატომ არ უნდოდა მას ჰესის აშენება? მან მოიყვანა ერთადერთი არგუმენტი (სიტყვასიტყვით გადმოგცემთ მის პასუხს): ჩემი სახლის წინ მდინარეში, მე ვჭყუმპალაობ, ჩემი შვილიც იქ ჭყუმპალაობს და ჩემმა შვილიშვილმაც იქ უნდა იჭყუმპალაოსო !!!

პროექტის ავტორმა, ა. ტყებუჩავამ მას შეახსენა, რომ მდინარის ქვედა ნაწილში პროექტით გათვალისწინებულია საბანაოს მოწყობა და იქ "იჭყუმპალავეთ" რამდენიც გინდათო (ცნობისთვის: პროექტის ავტორმა და სოფლის ახალგაზრდებმა ერთად შეარჩიეს, სადაც უნდა მოეწყოს საბანაო ადგილები). შეხვედრაზე გაიოზს უთხრეს, რომ ის სარგებლობდა მოქმედი ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულებით და დაუსვეს ასეთი შეკითხვა: გაბედავდა თუ არა ის სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ წასვლას და ანალოგიური საჩივრის დაწერას წინა ხელისუფლების დროს? ამ შეკითხვის გაგონებაზე გაიოზი შურდულივით გავარდა შეხვედრიდან და ვერ შეეძელით მისი მობრუნება.

ხევი-ჰესთან დაკავშირებით ინვესტორი მზად არის:

– ჰესის მშენებლობაში ჩადოს 3600000 (სამი მილიონ ექვსასი ათასი) აშშ დოლარი);

– წინასწარ, როგორც კი იქნება ჰესის მშენებლობაზე მოსახლეობისგან თანხმობა და მოთხოვნაც, ააშენოს და საჩუქრად გადასცეს 200 კაცზე 2-სართულიანი სარიტუალო სახლი, რომლის ღირებულება შეადგენს არანაკლებ 150,0 ათას დოლარს;

– აგრეთვე, პანდემიასთან დაკავშირებით, სოფლის თითოეულ მოსახლეს, ასაკის მიუხედავად, დახმარების სახით დაურიგდება 200-200 ლარი;

– საქართველოს სინამდვილეში, პირველად ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში (არანაკლებ 50 წელი), ყოველწლიურად სოფლის განვითარებისთვის ჩაირიცხება მოგებიდან 10%-მდე თანხა, რომელსაც განკარგავს არაკომერციული (არასამეწარმეო) იურიდიული პირი "ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევის განვითარების ჯგუფი";

– "ჯგუფის" წესდებაში, პუნქტობრივად, ყველაფერი გაწერილია. ის იძლევა შესაძლებლობას, თანხები გამოიყენონ მრავალი მიმართულებით (თანხმობის შემთხვევაში, "ჯგუფის" წესდება მზად არის და ის გაივლის რეგისტრაციას დადგენილი წესის მიხედვით);

– ჰესის მშენებლობის პროცესში, 1,5-2 წლის განმავლობაში, დასაქმდება მთლიანად ადგილობრივი მოსახლეობა და მის არც ისე მცირე ნაწილს, აღარ მოუწევთ ყოველდღიური პურის ფულის საშოვნელად ბათუმში წასვლა და თურქეთში გადასვლა. გარდა ამისა, დარწმუნებული ვართ, სოფელს დაუბრუნდება სოფლიდან წასული სულ ცოტა 10-15 ოჯახი;

– ჰესის ექსპლუტაციაში შესვლის შემდეგ "ჯგუფის" ანგარიშზე ჩაირიცხება ინვესტორის თანხები, მოხდება ადგილობრივების გადამზადება და 15-20 კაცი მუდმივად დასაქმდება ჰესზე (თვიური ანაძღაურება არანაკლებ 1000 (ათასი) ლარი), როგორც ეს ხდება ნაბეღლავი-ჰესში.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოში მცირე და საშუალო ჰესების მშენებლობაში თანხების ჩადებით, აგრეთვე, დაინტერესებული არიან ინვესტორის პარტნიორები. ჩვენი თანამემამულეები (და არა მარტო ისინი) ყურადღებით გაადევნებენ თვალყურს აღნიშნული ინვესტიციის მიმდინარეობას და ამის შემდეგ გადაწყვეტენ ჩვენს მიერ შეთავაზებული სხვა ჰესების ინვესტირებას, რაც რამდენიმე ათეული მილიონობით აშშ დოლარის საქართველოში შემოდინების წინაპირობაა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბატონმა გიორგი გახარიამ მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე ბრძანა: მთავარია, მომავალ პარლამენტში არ მოხვდნენ საქართველოს მტრებიო, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, კერძოდ, ვინ არიან ისინი.

დღევანდელ დღეს, როცა პანდემიის გამო კონვერტირებადი ვალუტის უარყოფითი სალდო ქვეყანაში ისევ გაიზარდა, რაც, ძირითადად, ტურიზმის ინდუსტრიის მნიშვნელოვნად შემცირებამ (და სხვა ფაქტორებმა) განაპირობა და ეროვნული ვალუტა დიდ წნეხს განიცდის, როცა ხშირად ეროვნული ბანკის ინტერვენციებითაც ვერ ხერხდება ლარის კურსის დარეგულირება (ვარდნის შეჩერება) და, როგორც იტყვიან, საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირებულ თითოეულ ცენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ის, ვინც ხელს უშლის ათეულობით მილიონი აშშ დოლარის საქართველოს ეკონომიკაში დაბანდებას - არის საქართველოს მტერი!

სხვათა შორის, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალი "ველური ბუნებისთვის" მიცემულ ინტერვიუში (6 დეკემბერი, 2019 წ.) აღნიშნა: "სამწუხაროდ, დღეს ბევრი „ვაი პატრიოტი“ ეწინააღმდეგება ყველანაირ მშენებლობას, განსაკუთრებული ძალისხმევით ებრძვიან ჰესების განვითარებას. ენერგო-დამოუკიდებლობა ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობის ქვაკუთხედია და სწორედ მაგიტომ ვუწოდებ მე იმ ხალხს „ვაი პატრიოტებს“, ვინც ყველაფერს აკეთებს, ოღონდ არაფერი აშენდეს. სამწუხაროდ, მათ ბევრი გულწრფელი მოქალაქე აიყოლიეს და ამ კუთხით ჩვენმა მთავრობამ მეტი უნდა იმუშაოს ხალხის ინფორმირებისათვის".

დასასრულს, ვფიქრობ, არ იქნება ურიგო, თუ გაითვალისწინებთ აღნიშნულს, დაინტერესდებით ხევი-ჰესის მშენებლობის საკითხით, მიიღებთ შესაბამის ზომებს, რათა "ვაი პატრიოტებმა" ვერ შეძლონ შეაფერხონ ჩვენს ქვეყანაში ინვესტორების შემოსვლა და, შესაბამისად, განვითარება.

ღრმა პატივისცემით,
ვასილ ჯიშკარიანი
ფინანსისტი
®

წყალი – ეროვნული სიმდიდრე

გვესაუბრება ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიისა და ბიზნეს-მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
პაატა გიორგაძე

— ბატონო პაატა, როგორც ვიცით, თქვენი ხელმძღვანელობით შეკრებილმა ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა შექმნა ქვეყნის სწრაფი განვითარების კონცეფცია — „წყალი — ეროვნული სიმდიდრე“ და პროგრამა „რეალობად ქცეული ქართული ეკონომიკური სასწაული“. მოგვიყევით ამ პროგრამის შესახებ უფრო ვრცლად.

— როგორც გითხარით, მეგობრებთან ერთად შევქმენი სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“, რომლის მიზანია საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის შექმნა, ახალი ფინანსურ-ეკონომეტრული ინსტრუმენტის ფორმირება და დარგობრივ-ეკონომიკური პროექტების

განხორციელება ფულადი რესურსების უზრუნველყოფით, ქვეყნის მშენებლობა „ახალი ეკონომიკური კონსტიტუციით“.

ჩვენი მიზანია, საქართველო გახდეს მსოფლიო მნიშვნელობის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელის წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა.

ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოების წევრები ეტაპობრივად გახდებიან საქართველოს მკვიდრი მოქალაქეები, რომელთაც უფასოდ გადაეცემათ ასეულ-ათასობით აშშ დოლარის მატერიალური ღირებულების ერთი აქცია, გარკვეული წლების შემდეგ საკუთრების უფლებით, რაზეც გამოცხადდება გასხვისების 10-წლიანი მორატორიუმი, საშუალო ფენის შექმნა-ჩამოყალიბებისა და მდიდარი მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის შენარჩუნება-ზრდის პერსპექტივებით.

18 თვეში საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში აშენდება მინიმუმ ორი, ხოლო, საერთო ჯამში, 190-მდე სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ქარხანა.

პირველ ეტაპზე შეიქმნება 80–100 ათასამდე სამუშაო ადგილი.

დასაქმებულის საშუალო ხელფასი იქნება 1500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

ქვეყნის ყოველწლიური შემოსავალი, იქნება, დღევანდელ პირობებში, 12 მილიადი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

კონცეფცია-პროგრამის რეალიზაციით, საქართველოს ბიუჯეტი შეივსება 2,5 მილიარდი აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

შეიქმნება განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, აშენდება ახალი პორტები და ტერმინალები.

სტრატეგიულ პარტნიორებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების საფუძველზე უკვე მიღწეულია შეთანხმება ასობით მილიონი დოლარის გამოყოფის თაობაზე. სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის, ქალაქებისა და დაბების წყალმომარაგება-წყალარინების ახალი სისტემების მშენებლობისა და საზღვრისპირა მაღალმთიან რეგიონებში თანამედროვე სოფლების ურბანული განვითარებისათვის, მთისა და ბარის კოოპერირებისათვის გლეხურ-ფერმერული მეურნეობების მოსაწყობად, მეცნიერების, ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სპორტის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის და ა.შ. სტრატეგიული მიმართულებების განვითარებისთვის.

მრავალი მილიონი დოლარი გამოიყოფა ტყეების გაშენება-რეაბილიტაციისა და აღდგენა-განახლების სამუშაოებისათვის.

მიღებული შემოსავლების რეინვესტირებით, მე-10 წელს, საქართველოში მაღალი ანაზღაურებით, დასაქმდება 450 ათასამდე ადამიანი, ხოლო ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები გაიზრდება და მიაღწევს ათეულობით მილიარდ დოლარს, რასაც ადასტურებს ფინანსური ნაკადების ბრუნვის აქსელერატორი.

ამ თემაზე ფიქრში და განსჯაში დღეები გვიტეხია და ღამეები არ გვიძინია მე და ჩემს მეგობრებს, დღევანდელ ვითარებაში, როცა ლიბერალური დემოკრატიის, როგორც პოლიტიკური მმართველობის კრიზისი მიმდინარეობს, ამ ტიპის პროექტების განხორციელება ძნელია, თუმცა არა შეუძლებელი და ჩვენ, რაც უნდა დაგვიჯდეს, ამ პროექტს განვახორციელებთ.

— რამ გამოიწვია, თქვენი აზრით, როგორც აღნიშნავთ, პოლიტიკური მმართველობის კრიზისი,?

— პასუხი ცალსახა და ნათელია, მსოფლიოში დღეს განვითარებული პროცესები მიანიშნებენ, რომ ლიბერალური დემოკრატია, რომელიც შეიქმნა ავტორიტარულ-დიქტატურული რეჟიმის მქონე ქვეყნების საწინააღმდეგოდ, როგორც ბრძოლის იარაღი, ღრმა კრიზისშია და სახეზე გვაქვს ლიბერალური დემოკრატიის, როგორც მმართველობისა და წარმომადგენლობითი პოლიტიკური მოდელის კოლაფსი. მაგალითისათვის მოვიყვან ესპანელი სოციოლოგის ემანუელ კასტელის შრომებს, სადაც იგი ასაბუთებს, რომ დღეს არსებული საზოგადოების უნდობლობა, ანუ ხალხის უნდობლობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი წარმოშობს ლიბერალური დემოკრატიის კრიზისს.

პოლიტიკური ინსტიტუტები, ანუ მთავრობები აღარ წარმოადგენენ ხალხს, რაც იწვევს მასების ამბოხს პოლიტიკური წესრიგის წინააღმდეგ. ამის ნათელი მაგალითია ბრექსიტი, რომელმაც

რატომ არ გაამართლა ლიბერალურმა დემოკრატიამ და რატომ არ მუშაობს დღეს იგი, ამაზე სწორი პასუხის გაცემა შორს წაგვიყვანს, მაგრამ შევეცდები, მოკლედ განვმარტო: დემოკრატიულ სახელმწიფოში, როდესაც ხალხი ცხოვრობს კარგად, თანასწორ გარემოში, ადამიანის სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური მოთხოვნები ისეა დაბალანსებული და დაკმაყოფილებული, რომ იგი ხელს უწყობს ბედნიერი საზოგადოების ჩამოყალიბება-შექმნას, ასეთი ქვეყნის პოლიტიკური მართვის მოდელი, არც თუ ისე ხშირად, დემოკრატიული და წარმატებულია. აქედან გამომდინარე, დემოკრატია ვერ იარსებებს განვითარების გარეშე და ისეთი აუცილებელი პროცესების გარეშე, როგორიც არის: სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რომელიც უშუალოდ იქნება დამოკიდებული ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორზე, ურბანიზაცია, განათლება და დარგობრივ- ეკონომიკური განვითარების პროცესები, ისინი ხელს უწყობენ კაპიტალისტური დემოკრატიისა და სოციალისტური კულტურის დამკვიდრებას.

მეცნიერ-მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკურ განვითარებასა და დემოკრატიას შორის პირდაპირი კავშირია. რაც უფრო კარგად ცხოვრობს სახელმწიფოში ხალხი, მით უფრო მეტადაა იქ შესაძლებელი დემოკრატიის სტაბილიზაცია, სრულყოფა და შენარჩუნება.

ნეოლიბერალიზმი, როგორც იდეოლოგია, შეუთავსებელია დემოკრატიის იდეასთან, რადგანაც დემოკრატიის იდეა დაფუძნებულია საზოგადოების კოლექტიური ინტერესების დაცვაზე, ნეოლიბერალიზმის ინტერესები კი არ ითვალისწინებს კოლექტიური ინტერესების დაცვას, ე.ი. საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა აბსოლუტურად იგნორირებულია.

ასეთ ვითარებაში პოლიტიკური ელიტები ყოველთვის ცდილობენ იყვნენ ჩართული თავისუფალი ბაზრების სამსახურში, ანუ კერძო კაპიტალის მფლობელთა ზეგავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი. ხოლო გარკვეული კაპიტალის დაგროვების შემდეგ პოლიტიკური თანამდებობებიდან ხვდებიან დიდი ტრანსნაციონალური ორგანიზაციების თანამდებობებზე. ასეთი თანმდევი კულტურული, სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვისებები, რაც არის ნეოლიბერალიზმის სახასიათო ნიშანი, აღრმავებს კრიზისს, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. თუმცა ეს არ იძლევა უიმედობის და ნიჰილიზმის საფუძველს. ყველა დროში იყო და იქნება პრობლემები საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ ბრძოლით მიიღწევა განვითარება და წინსვლა, რაც ასე სჭირდება დღეს საქართველოს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

თუ გსურთ თქვენს სულში შენარჩუნდეს მშვიდობა და თავისუფლება, ისწავლე დამოუკიდებლად აზროვნება

გასული საუკუნის ორმოციან წლებში ეგზიუპერი ჩიოდა,-„ ადამიანები აღარ არიან შემოქმედები მათი ღმერთის მსგავსად, პირიქით, ისინი სპობენ ღმერთის მიერ შექმნილ სილამაზეს იმით რომ ეკონომიკურ რაციონალიზმს იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამით ხდებიან რობოტები. ადამიანს აღარ აქვს აზრი და მნიშვნელობა, იმიტომ რომ ის აღარაფერს აძლევს არც საკუთარ თავს და აღარც სამყაროს რომელშიც აღარც ცხოვრობს. ადამიანი მაწანწალასავით დაეხეტება სამყაროში იმის მაგივრად რომ იქ იცხოვროს., დაწანწალებს ილუზორული, მოჩვენებითი მატერიალური ბედნიერების ძიებაში“.

ეგზიუპერის წუხილს ბევრი ჩინიანი და უჩინო იზიარებდა. დღეს ადამიანები ბევრად უფრო დაცილდნენ ღმერთს და ადამიანის არსებობაც გაუფასურდა. სიყვარული დაიკარგა და ამიტომაც ხდება ის რაც ხდება მთელ მსოფლიოში. უფერულია შორეული იმედიც, რომ სამყარო უკეთესობისკენ შეიცვლება. მსოფლიო, ილუზიების ტყვეობაშია და საშველიც არ ჩანს... როდესაც ილუზიონისტს, ან "მოგვს" ჩვენი მოტყუება სურს, ჯერ მიმართავს თვალთმაქცობის ხელოვნებას, რათა ჩვენი ყურადღება მოაშოროს რეალობას. სანამ აუდიტორია აღფრთოვანებით ადევნებს თვალს არაფრისმთქმელ ტრიუკებს, ილუზიონისტს მისი გაბითურების შესაძლებლობა ეძლევა. მაგრამ ზოგჯერ ბრიყვებისთვის იმდენად აუტანელია მოტყუების ფაქტის აღიარება, რომ წლების განმავლობაში სჯერათ იმისა, რაც სინამდვილეში არ არსებობს. ჩვენ ილუზიათა სამყაროში ვცხოვრობთ. მრავალი პრობლემა, რომლითაც დაკავებულია ჩვენი ტვინი და კალენდარი, არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ვიღაცამ თავს მოგვახვია. ვინ იცის, შემთხვევით მოხდა ეს თუ არა, მაგრამ მაინც, ყველა ჩვენთაგანი (ან თითქმის ყველა) ავტორიტარულ-კორპორატიული მომხმარებლური კულტურის მსხვერპლნი გავხდით, რომელიც ადამიანებზე ახლაც დომინირებს. ფსიქოპათებმა რეალურობის გრძნობა წაგვართვეს. ხოლო სოციალურმა ქსელებმა მათ შესაძლებლობა მისცა საკუთარი იდეები მოსახლეობის ფართო მასებისთვის მიეწოდებინათ. მათი მთავარი მავნეობა იმაშია, რომ მათ, საკუთარი თავდაჯერებულობისა და ხვალინდელი დღისადმი იმედის ჩანერგვით, ადამიანებს მიაყენეს აბსოლუტური და გამანადგურებელი დარტყმა. რევოლუციურმა ქუჩის მხატვარმა ბენქსიმ ერთხელ შენიშნა: "ადამიანები ინტელექტუალურ შარდს ყოველდღიურად სვამენ, რომელმაც მათი ცხოვრება ნამწვად გადააქცია. ის გაიძულებთ დაიჯეროთ, რომ თქვენ არასაკმარისად სექსუალური ხართ. ან იმაში, რომ ყველაზე მხიარული ამბავი სხვაგან ხდება. ტელევიზიამ თქვენი მეგობარი გოგონა უკვე არაადექვატური გახადა. მათ ხელი მიუწვდებათ ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებზე და ისინი გაშინებენ თქვენ. ისინი – რეკლამის ოსტატები არიან, და მწარედ დაგცინიან". მაგრამ რეკლამა – აისბერგის მხოლოდ მწვერვალია. თუკი უფრო შორს გაიხედავთ, ნახავთ, რომ ჩვენი ცხოვრების მთელი ორგანიზაცია სხვადასხვა ინსტიტუტებისადმი მორჩილებაზე, ასევე ილუზიებისადმი, სხვა ადამიანებისადმი და იდეებისადმი მიდევნებაზეა აგებული. ჩვენ ვართ მონები – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩვენ განვიცდით მომხმარებლურ უღელს და ტოტალურ კონტროლს. ისინი ბავშვობიდანვე იჭრებიან ჩვენს ცნობიერებაში და მას საკუთარი მორჩილებისკენ წარმართავენ. აი ექვსი გრანდიოზული ილუზია, რომელსაც უნდა დაეშშვიდობოთ, თუკი არა მხოლოდ გარეგნული, არამედ შინაგანი თავისუფლების შენარჩუნება გსურთ.

1. **სამართლის, წესრიგისა და ძალაუფლების ილუზია**: მრავალი ჩვენგანისთვის კანონის წერტილ-მძიმის მიდევნება – მორალური ვალდებულებაა. მაგრამ კორუფცია და პოლიტიკური სკანდალები გვარწმუნებს, რომ კანონი – საკმაოდ მოქნილი რამეა. განსაკუთრებით მათთვის, ვისაც მისი მოდრეკის შესაძლებლობა გააჩნია. პოლიციის სისასტიკე და დანაშაულობანი, რომელსაც ის ახორციელებს, – რეალურია არა მარტო პოსტ საბჭოთა ქვეყნებისთვის, არამედ აშშ-სა და ევროპის მრავალი ქვეყნისთვისაც. სასამართლოები ყოველთვის ამართლებდნენ მდიდრებს და გავლენიან ოჯახთა შვილებს. დღეს კი პირად ცხოვრებაში სახელმწიფო თვალთვალის შემოჭრისგანაც დაუცველები ვართ. და სხვადასხვა ქვეყნების მთავრობათა ეს ამორალურობა ასე თუ ისე იწვევს მკვლელობებს და მთელი ერებისა და კულტურების განადგურებას. სოციალური წესრიგი – ეს არის ილუზია. და ის მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ თქვენ, კანონმორჩილი მოქალაქეები, ყველაფერში მორჩილნი ხართ და ყველაფერს ეთანხმებით. რა არის სახელმწიფო? ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ძალადობის შიშით აიძულებს სხვებს დაემორჩილონ მათ ნებას და მათ პოლიტიკას. სახელმწიფო – ეს არის ბანდა, რომელმაც მიიღო მონოპოლია ძალადობაზე. ისტორია კვლავ და კვლავ გვასწავლის: სახელმწიფო ინსტიტუტები საჭიროა მხოლოდ იმისთვის, რათა დაჩაგრონ, გააკონტროლონ და გაძარცვონ სხვა ადამიანები. ნებისმიერი ეგრედ წოდებული ძალაუფლება აუცილებლად ცრუ, პირმოთნე და უსამართლოა. არ არსებობს არავითარი სამართალი, კანონიკური წესრიგი და მართლმსაჯულება. ეს ყველაფერი მხოლოდ ძალაუფლების ფუმფულა ატრიბუტებია, რომელიც სიმართლის დასაფარად სჭირდებათ. სიმართლისა იმის შესახებ, რომ მსოფლიო წესრიგი სხვა ადამიანთა კონტროლსა და სხვაგვარად მოაზროვნეთა დათრგუნვას ეფუძნება.

2. **ბედნიერებისა და კეთილდღეობის ილუზია**: ყოველი ჩვენთაგანი სარგებლობს დღეს ისეთი რაოდენობის ძვირფასი მორთულობებითა და სათამაშოებით, რომ XIX საუკუნის მონარქებს შეშურდებოდათ. ილუზიების მხარდაჭერას და მათ განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი ამ მსოფლიო ფინანსური სისტემისთვის. მაგრამ ამაოდ გვავიწყდება ის, რომ მომხმარებლობის საფუძველში ყოველთვის ძევს თაღლითობა, კრედიტები და სესხები. საბანკო სისტემა თავიდანვე იმიტომ მოიფიქრეს, რომ მდიდრები ღარიბთა ხარჯზე კიდევ უფრო გამდიდრებულიყვნენ. ამისთვის ღარიბები დაარწმუნეს იმაში, თითქოსდა მათ რაღაც ღირებულებები გააჩნიათ. ნამდვილი წარმატების, გაფურჩქვნისა და ბედნიერების მოტანა მხოლოდ ბუნებას, ჯანმრთელობას, სიყვარულს და ახლობლებთან ურთიერთობას შეუძლია. ნუ მოახდენთ თქვენს იდენტიფიცირებას იმ მატერიალურ კეთილდღეობასთან, რომელსაც ფლობთ (ან გინდათ, რომ ფლობდეთ). ასე თქვენ კი არ მიუახლოვდებით, არამედ მხოლოდ დაშორდებით ჭეშმარიტ ბედნიერებას!

3. **არჩევანის თავისუფლების ილუზია**: ჩვენ გვგონია, რომ ყველას გვაქვს იმის არჩევის უფლება, თუ როგორ ვიცხოვროთ. მაგრამ სინამდვილეში სხვადასხვა ვარიანტთა შეზღუდულ კრებულს გვთავაზობენ და ყველა მათგანი – ცუდია. როგორი გადაწყვეტილებაც გინდ აარჩიოთ, ყოველთვის თქვენი ქვეყნის სამართლებრივი და საგადასახადო სისტემის ტყვეობაში აღმოჩნდებით. ამ სისტემას კი ისინი ძალადობის მონოპოლიური უფლებით დაიცავენ. დააკვირდით თანამედროვე დემოკრატიის ყალბ ინსტიტუტს და გაიგებთ, რომ არჩევნების შედეგები დამოკიდებულია მხოლოდ იმაზე, თუ რომელი პოლიტიკური პარტია უფრო წარმატებულად მოახერხებს ჩვენ მოხიბლვას. თავისუფალი არჩევანის ილუზია – ეს არის უმძლავრესი მჩაგვრელი, რადგან ბრიყვები – ეს მონები, – ფიქრობენ, რომ თავისუფლები არიან. ნუ იკვებებით ილუზიით: ჩვენ მაინც ყველანი დაბმულები ვყავართ.

4. **სიმართლის ილუზია სიმართლე**: ჩვენი კულტურის ფაქიზი თემაა. ჩვენ თითქოსდა დაპროგრამებულები ვართ იმაზე, რომ მუდმივად ვეძებოთ ჭეშმარიტება. ნებისმიერი საზოგადოების ერთი ნაწილი სახელმწიფოში დაუფიქრებლად ენდობა ყველაფერს, რასაც მას მასმედია ამცნობს, სხვა კი – საერთოდ არაფერს იჯერებს იმისგან, რასაც ჟურნალისტები იტყობინებიან. ორივე უკიდურესობა – წარმოუდგენელი სიბრიყვეა. თუ გსურთ თქვენს სულში შენარჩუნდეს მშვიდობა და თავისუფლება, ისწავლეთ დამოუკიდებელი აზროვნება, და გახსოვდეთ, რომ ნებისმიერ სიმართლეს ყოველთვის აქვს ორი მხარე თუნდაც მას ვინმე მალავდეს.

5. **დროის ილუზია**: ამბობენ, რომ დრო – ფულია, მაგრამ ეს სიცრუეა. დრო – ეს არის სწორედ ჩვენი ცხოვრება. შეწყვიტოთ ხუთი გრძნობის კატეგორებისა და გრაფიკ-კალენდრის შესაბამისი აზროვნება. ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ სული – მარადიულია, და ყოველი ადამიანური სული ამ მარადიულობის ნაწილია და მთავარი ტყუილი: ისინი ყოველმხრივ გვარწმუნებენ, რომ ნამდვილ მომენტს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. თითქოსდა ჩვენ ვალდებულნი ვართ ყოველთვის გავაანალიზოთ ჩვენი წარსული და დავგეგმოთ უკეთესი მომავალი. ამის ნაცვლად, გთავაზობთ კონცენტრირდეთ იმაზე, რაც ხდება აქ, ახლა და ამ წუთას. თუკი გონებას მიაპყრობთ არა იმას, რაც ახლა ხდება, არამედ იმას, რაც შეიძლება მოხდეს (ან არ მოხდება) მომავალში, თქვენ – რეკლამის ოსტატთა, ხელისუფალთა და სხვა სუტენიორთა იოლი ლუკმა გახდებით, რომლებიც ათასგვარი შიშებით ბინდავენ ჩვენ ცნობიერებას. ბედნიერები ვართ, როდესაც ცხოვრება თავში არ გვირტყამს; როდესაც სპონტანურობა და შემთხვევითობა ჩვენთვის გრანდიოზულ გეგმებზე უფრო საინტერესოა; და როდესაც ჩვენი "დღევანდელი" ჩვენსავ "ხვალინდელზე" უფრო მნიშვნელოვანია.

6. **დაცალკევების ილუზია**. მასების მართვის სტრატეგიის სფეროში არაფერია იმ ტაქტიკაზე უფრო ეფექტური, რომლის დევიზია "დაჰყავი და იბატონე". ეს პრინციპი ყოველთვის გამოიყენებოდა ავტორიტარული ხელისუფლების დასამყარებლად ან იმისთვის, რათა გაემართლებინათ ამა თუ იმ ქვეყანაში წარმოებული სამხედრო ინტერვენცია. და დაცალკევების ეს ილუზია მართლაც მუშაობს. ჩვენ დაპროგრამებულები ვართ იმის დასაჯერებლად, რომ, როგორც ცალკეული პიროვნებები მუდმივად კონკურენციულ მდგომარეობაში ვიმყოფებით მათთან, ვინც ჩვენს წინააღმდეგაა. ჩვენ საკუთარ მეზობლებსა და ნათესავებსაც კი არ ვენდობით! მაგრამ დედამიწის ყველა ადამიანი ერთმანეთის კონკურენტები კი არა პარტნიორები არიან. და ამ პარტნიორობის ეფექტურობაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ მსოფლიოში ვიცხოვრებთ.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

იმუნო-ჰერბი – ეფექტური პრეპარატი კოვიდ-19-ის წინააღმდეგ

გვესაუბრება ექიმი-ჰომეოპათი, მედიცინის ისტორიის მკვლევარი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი კახა საბახტარაშვილი

— ბატონო კახა, რას იტყვით, ახალ კორონა ვირუსზე?

— ახალი კორონა ვირუსი სარს-კოვიდ-2 ორგანიზმისთვის უცხო ვირუსია. ადამიანს მის საწინააღმდეგოდ ჯერ არანაირი იმუნიტეტი არ აქვს გამომუშავებული.

ჯერჯერობით არც ამ ვირუსის ბუნება არაა შესწავლილი.

თითქოს ბანალური ჭეშმარიტებაა — დავიცვათ დისტანცია და ვატაროთ ნიღბები, მაგრამ დადასტურებულ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ, თუ ორი ადამიანი ერთმანეთს ესაუბრება, ისინი ნიღბებით არიან და მათ შორის დისტანცია 1,5 მეტრია, რომელიმე მათგანი კოვიდ-19-ით დაავადებული რომც იყოს, ავადმყოფობის გადაცემის ალბათობა თითქმის ნულის ტოლია. ასე რომ, ვატაროთ ნიღბები და დავიცვათ დისტანცია, ეს არის ამ დაავადების თავიდან აცილების პრევენციის ანა-ბანა.



კვლევებით დადგინდა, რომ ორგანიზმში არსებული ანტისხეულების — იმუნოგლობულინების მიერ გამომუშავებული ტელიმფოციტების დონეს ადამიანის ორგანიზმში D ვიტამინის ოდენობა განსაზღვრავს.

ვისაც D ვიტამინის ნაკლებობა აქვს, მას უფრო ასუსტებს კორონა ვირუსი. მაგალითად, იტალიაში გარდაცვლილთა 76%-ს ორგანიზმში D ვიტამინის ნაკლებობა აღენიშნებოდათ.

D ვიტამინის ნაკლებობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სკანდინავიის ქვეყნებში. შესაბამისად, კორონა ვირუსით გარდაცვლილთა მაჩვენებელი იქ საკმაოდ დაბალია.

— რა არის ამის მიზეზი?

— სკანდინავიის ქვეყნები — შვედეთი, ფინეთი, ნორვეგია, მართალია, მზიანი ამინდებით არ გამოირჩევიან, მაგრამ ეს ქვეყნები მთელ მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან თევზისა და თევზის პროდუქტების მოხმარების კუთხით. თევზი კი გახლავთ D ვიტამინის უშრეტი წყარო.

ამიტომ ვაკეთებთ დასკვნას — თუ ორგანიზმი განიცდის D ვიტამინის ნაკლებობას, აუცილებლად უნდა მიიღოთ ეს ვიტამინი და მისი შემცველი პროდუქტები, რითაც თავს დავიცავთ კორონა ვირუსისგან.

— ბატონო კახა, დიფერენციაცია თუ შეიძლება? ანუ განსაკუთრებით რომელი ტიპის რისკ-ჯგუფებს ემართება და ურთულდება კორონა ვირუსი?

— რისკ-ჯგუფში, პირველ რიგში, შევიყვანდი გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე ადამიანებს, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის განაჩენი. არსებობს პრეპარატები, რომლებსაც სისტემატურად იღებენ პაციენტები და ეს პრეპარატები, შესაძლებელია, კორონა ვირუსის საწინააღმდეგოდაც იქნას გამოყენებული.

მაგალითად, ვინც მაღალ წნევებს ატარებს, ჰიპერტონიული დაავადებების მქონე ადამიანებს ვგულისხმობ, ისინი რეგულარულად იღებენ წნევის დამწევ საშუალებებს, მათ კორონა ვირუსით დაავადების შანსები უმცირდებათ.

წნევის დამწევი მედიკამენტები, ძირითადად, იყოფა სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედის პრეპარატები, რომელთა დასახელება ბოლოვდება პრილით — ენაპრილი, ნოლიპრილი, კაპტოპრილი და ა.შ. მეორე ჯგუფში არის ის პრეპარატები, რომლებსაც კალციუმის ბლოკატორები ეწოდებათ, მესამე ჯგუფი შარდმდენი პრეპარატებია. ის ადამიანები, რომლებიც ე.წ. პრილის ჯგუფის პრეპარატებს მოიხმარენ, პრაქტიკულად, კორონა ვირუსისგან დაზღვეულნი არიან.

— რატომ?

— ახლავე მოგახსენებთ.

ვირუსი, როცა ორგანიზმში ხვდება, შედის უჯრედში და იქ იწყებს გამრავლებას. მაგრამ კორონა ვირუსი სხვა ვირუსებისგან იმით განსხვავდება, რომ ის თავიდანვე უშუალოდ უჯრედის გარსში ვერ აღწევს. საქმე იმაშია, რომ ადამიანის უჯრედს აქვს რეცეპტორი, იგივე ცილა, ფერმენტი, რომელსაც ჰქვია ანგიოცენზინ გარდამქმნელი ფერმენტი-2. მისი გააქტიურება იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას, რის შედეგადაც წნევა მაღლა იწევს, მაგრამ მედალს აღმოაჩნდა მეორე, დადებითი მხარე — თვითონ ეს კოვიდ-ვირუსი ისე ვერ მოხვდება უჯრედში, თავისი ეკლებით თუ არ მიუერთდა ანგიოტენზინ-2 გარდამქმნელ ფერმენტს. თუ ადამიანი იღებს პრილი ჯგუფის პრეპარატებს, ფერმენტი ნეიტრალდება და ვირუსი ნაკლებად ხვდება უჯრედებში. ამიტომ მე რეკომენდაციას ვუწევ ჰიპერტონიით დაავადებულ ადამიანებს — მიიღონ პრილი ჯგუფის პრეპარატები.

არიან, ასევე, ადამიანებიც, რომლებიც ორგანიზმში ქოლესტერინის დონის დასაწევად ღებულობენ სტატინების ჯგუფის პრეპარატებს.

აშშ-ში მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს გამოქვეყნებული კვლევით დადგინდა, რომ 5500 ადამიანს, რომლებსაც ჩაუტარდათ კვლევები და იღებდნენ ქოლესტერინის დამწევ პრეპარატებს, იგივე სტატინებს, კოვიდ-19-ის მძიმე ფორმებით განვითარების რისკი 50%-ით შეუმცირდა თ.

— კერძოდ, რომელ პრეპარატებზე საუბრობთ?

— მაგალითად, ატორვასტატინი, სიმვასტატინი და ა. შ. ამ პრეპარატებს, ძალიან ბევრი ადამიანი მოიხმარს საქართველოში.

მესამე პრეპარატი, რომელმაც, ფაქტობრივად, სენსაცია მოახდინა — 2020 წლის 21 ოქტომბრის კვლევის თანახმად, აშშ-ის 314 მოქალაქე სისტემატურად იღებდა მცირე დოზით კარდიოასპირინს და ამან აჩვენა გასაოცარი შედეგი.

ასპირინის მუდმივად მიღების შედეგად კორონა ვირუსით დაავადებული პაციენტების ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობამ მკვეთრად იკლო.

საქმე ეხება არა, სახელდობრ, ასპირინს, არამედ კარდიოასპირინს, რომლის შემცვლელად ახლა კარდიომაგნილსაც გამოიყენებენ, რადგან კარდიო ასპირინი ხშირად კუჭის გაღიზიანებას იწვევს.

გულ-სისხლძარღვთა დაავადების მატარებელმა ადამიანებმა პანდემიის პირობებში, ექიმის დანიშნულების მიხედვით, უნდა მიიღონ სამი აუცილებელი პრეპარატი — კარდიოასპირინი, ყოველდღიურად, ქოლესტერინის დამწევი პრეპარატები და პრილის ჯგუფის წამლები. თუ ამ პრეპარატებს მიიღებენ, დამერწმუნეთ, მკვეთრად შემცირდება დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა.

აქვე ერთ საინტერესო ფაქტზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. გასული საუკუნის 18–21 წლებში ზუსტად იგივე ეფექტის მქონე დაავადება გავრცელდა მთელ მსოფლიოში, ეს გახლდათ ვირუსული გრიპი — ისპანკა. ისიც ფილტვებს აზიანებდა, როგორც კორონა ვირუსი, მაგრამ ისპანკა უფრო მძიმე ვირუსული ინფექცია გახლდათ. ის იწვევდა ფილტვში სისხლდენას და ადამიანები საკუთარ სისხლში იხრჩობოდნენ. ისპანკა შავი ჭირის შემდეგ ყველაზე საშინელი ვირუსული ეპიდემია იყო დედამიწაზე, რომელმაც 50-იდან 100 მლნ-მდე ადამიანი შეიწირა.

ისპანკის დამარცხებაში ლომის წილი შეიტანა ჰომეოპათიამ.

2003 წელს მე დავიწყე ამ ყველაზე საშინელი დაავადების გაშიფრვა. ჩემი კვლევის შესაბამისად, შეიქმნა ანტივირუსული, ანთების საწინააღმდეგო და იმუნიტეტის გამაძლიერებელი ჰომეოპათიური საშუალება „იმუნო-ჰერბი“.

— მე დაბალი იმუნიტეტის მქონე ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები. პირადად მიმიღია „იმუნო-ჰერბი“ და შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ ეფექტური საშუალებაა...

— რამდენიმე შემთხვევას დაგისახელებთ: პრაქტიკულად, სამი წლის განმავლობაში იღებს ჩემს პრეპარატებს ბათუმში მცხოვრები 86 წლის პაციენტი, იგი პროსტატის ადენომის ჩივილებით მოვიდა ჩემთან. ორი თვის წინ დამიკავშირდა და მითხრა, რომ, ფაქტობრივად, მთელი წლის განმავლობაში იღებდა „იმუნო-ჰერბს“, პროფილაქტიკის მიზნით და როცა ოჯახის ყველა წევრს კორონა ვირუსი დადასტურდა — ჩემს პაციენტს სურდოც არ შეჰყრია.

ახლახან დამირეკა 75 წლის ქალბატონმაც, რომელიც თურმე იღებდა „იმუნო-ჰერბს“, ის ხშირად სტუმრობდა მეზობელს, რომლის ოჯახის ყველა წევრს დაუდასტურდა კორონა ვირუსი, ამ ქალბატონს კი — არა.

„იმუნო ჰერბი“ მაღლა წევს ორგანიზმის იმუნიტეტს და აძლიერებს ორგანიზმის უნარს, შეებრძოლოს ნებისმიერი სხის ვირუსს. ჩინური კორონა ვირუსი კი ძალზე სახიფათოა მათთვის, ვისაც იმუნურის სისტემა დაქვეითებული აქვთ. ეს პრეპარატი რეგისტრირებული საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, როგორც მესამე ჯგუფის სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატი, ანუ ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე. შეიძლება გამოიყენონ ორსულებმა და მეძუძურმა დედებმაც. „იმუნო ჰერბი“ ყველა სააფთიაქო ქსელშია.

აქვე ერთი საგულისხმო ფაქტიც მინდა აღვნიშნო: დიაბეტიანებს პირდაპირ ცელავს კორონა ვირუსი. კორონა ვირუსით დასნებოვნების დროს მათ უმრავლეს შემთხვევაში სჭირდებათ ფილტვის ვენტილაციის აპარატი.

ვირუსი ადამიანის ორგანიზმში ხვდება ყველგან. ის აღწევს, მაგალითად, კუჭის უჯრედებშიც, რომლებიც გამოიმუშავებენ, სწორედ, კუჭის წვენს და ირღვევა კუჭში მიმდინარე ნორმალური პროცესები. ვირუსი სადაც იჭრება, იქ აქვეითებს ფუნქციებს, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ორგანიზმს ყოველთვის ახასიათებს დაცვითი უნარი. მას შეუძლია გამოიმუშავოს ანტისხეულები ნებისმიერი უცხო აგენტის საწინააღმდეგოდ.

ანტისხსეულების გამომუშავებას ჩვენ თვითონაც უნდა შევუწყოთ ხელი — იმუნიტეტის გაძლიერებით, სუფთა ჰაერზე სეირნობით, ფიზიკური აქტივობით, ჯანსაღი საკვების მიღებით.

— ჩემი ვარაუდით, კარგი განწყობაც აუცილებელია.

— თავისთავად ცხადია, კორონა ვირუსის ყველაზე კარგი მოკავშირე არის შიში და პანიკა. შიშის დროს გამომუშავდება კორტიზოლის ჰორმონი, რომელიც ემტერება და ანადგურებს იმუნურ სისტემას. როცა ადამიანი შიშში და პანიკაშია, ჩათვალეთ, რომ მისი ორგანიზმი მზადაა კორონა ვირუსის მისაღებად. ამიტომ, ვეცადოთ, ვიყოთ კარგ განწყობაზე, ვიყოთ მეტად ოპტიმისტები. არ არსებობს დაავადება, რომელიც დაუძლეველია.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

დიდსულოვანი დიქტატორები

სიტყვა დიქტატორი ნეგატიურ ასოციაციებს იწვევს. დიქტატურაში ცუდი არაფერია. მეტიც, ბევრი მას სახელმწიფო მოწყობის საუკეთესო ფორმად თვლის, თუ დიქტატორი დიდსულოვანია და საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

დიდსულოვანი დიქტატორები მსოფლიო ისტორიაში არც ისე ბევრია, თეორია იმის შესახებ, რომ დიქტატურა სხვა პოლიტიკურ მოწყობებზე უკეთესია, საფუძველშივე არასწორია. თუმცა, მსოფლიოში დროდადრო მაინც იბადებოდნენ დიდსულოვანი დიქტატორები...

პისისტრატე. პისისტრატე ნამდვილად დიდსულოვანი იყო. ის

მუსტაფა ქემალ ათათურქი

მართავდა ათენს ჩვ.წ. აღმ-დე 561-იდან 527 წლებში, მაგრამ დროგამოშვებით. პირველად ის ტირანად (დიქტატორად) სახალხო კრებაზე აირჩიეს. მალე მისმა მტრებმა არისტოკრატების მხარდაჭერა მოიპოვეს და გააძევეს. მეორეჯერ ის ქალაქში ლამაზ უცნობ ქალთან ერთად დაბრუნდა და განაცხადა, რომ ის ქალღმერთი ათინა იყო. ხალხმა სიხარულით აღიარა ის თავის მმართველად, მაგრამ ისევ ჩამოაგდეს. ამჯერად განდევნა ათი წელი გაგრძელდა. პისისტრატემ არმია შეაგროვა, დაბრუნდა ათენში და კვლავ მოიპოვა ძალაუფლება. პისისტრატე ათენელების დიდი სიყვარულით სარგებლობდა. ის ზრუნავდა მოქალაქეთა კეთილდღეობაზე — ღარიბებს ურიგებდა მიწებს და სესხს აძლევდა. მისი მმართველობისას ათენში სიმშვიდე იყო და ქალაქი ვითარდებოდა.

აშოკა. დიდი აშოკა ჩვ.წ. აღმ-დე 304–231 წლებში ცხოვრობდა. ის იყო სასტიკი და ქმედითი — იყენებდა სამხედრო ძალას, აკონტროლებდა იმპერიას, აფართოებდა მის საზღვრებს და ააშენა საპყრობილე, სადაც არაადამიანურად აწამებდნენ ტუსაღებს.

მმართველობიდან რამდენიმე წლის შემდეგ მეზობელ სახელმწიფო კალინგასთან ომი წამოიწყო, რომელმაც 300 ათასი ადამიანი შეიწირა. ომის შემდეგ აშოკამ მოინანია ადამიანებისთვის მიყენებული ყველა ტანჯვა, უარი თქვა ომზე და ბუდიზმი აღიარა. მისი ბრძანებით მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკები უნდადახმარებოდნენ მოხუცებსა და ღარიბებს; დააარსა სამედიცინო დაწესებულებები და თავისი ქვეშევრდომების საკეთილდღეოდ განახორციელა ბევრი საზოგადოებრივ-სოციალური პროექტი.

მარკუს ავრელიუსი. მარკუს ავრელიუს ანტონინი რომში ჩვ.წ. აღ. 121 წელს დაიბადა, ძალაუფლება კი 161 წელს მოიპოვა. მას ერთ-ერთ უკანასკნელ კარგ იმპერატორად მოიხსენიებენ. მარკუსი ცდილობდა, რომი სამართლიანად ემართა სტოიციზმის ფილოსოფიის მიხედვით. მას ბევრი გამოცდა ერგო, მათ შორის იყო უსასრულო ომი რელიგიური ფანატიკოსების სექტასთან, რომლებიც თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ.

ხოსროვ 1. ხოსროვი ირანის შაჰინშაჰი გახლდათ და სასანიდების იმპერიას ჩვ.წ. აღ. 531–579 წლებში მართავდა. ტახტზე ასვლის შემდეგ ხოსროვმა გაღატაკებული ქვეყნის რეფორმა დაიწყო. მთავარი რეფორმა საგადასახადო სისტემას შეეხო, რამაც უზრუნველყო სამართლიანი გადასახადების დაწესება. ამან იმპერიას დიდი მოგება მოუტანა და ქვეყნის ეკონომიკას სტაბილურობა დაუბრუნა.

ხოსროვი კულტურასაც მფარველობდა. მის კარზე ვითარდებოდა ასტრონომია. როცა ათენში პლატონის აკადემია დახურეს, ზოგიერთი ბერძენი ფილოსოფოსი სასანიდების იმპერიაში გადავიდა და ხოსროვის მფარველობა მოიპოვა.

ფრიდრიხ დიდი. ფრიდრიხ II პრუსიის მესამე მეფე იყო. მან პრუსია იმ დროისთვის ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად აქცია. ფრიდრიხმა დიდი როლი შეასრულა განათლებული მმართველობის, გონების საუკუნის იდეების გავრცელებასა და გაძლიერებაში. პრუსიის მეფე სხვა რელიგიების მიმართ შემწყნარებელი იყო და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სახელმწიფო ინტერესები პირადზე და დინასტიისაზე უფრო მნიშვნელოვანია.

სიმონ ბოლივარი. ბოლივარის პოლიტიკური იდეოლოგია უკომპრომისო-ავტორიტარული იყო — ის მიიჩნევდა, რომ წარმატების მისაღწევად ქვეყანას ძლიერი მთავრობა ან დიქტატორი სჭირდება.


სიმონ ბოლივარი

სიმონ ბოლივარს სურდა ესპანური და ამერიკული შტატების გაერთიანება. მან თითქმის მიაღწია წარმატებას — შეადგინა და თავად მოაწერა ხელი შეთანხმებას კოლუმბიას, პერუს, მექსიკასა და ცენტრალური ამერიკის შეერთებულ პროვინციებს შორის, რომელიც ითვალისწინებდა საერთო არმიისა და სამხედრო ფლოტის შექმნას.

მუსტაფა ქემალ ათათურქი. მუსტაფა ქემალ ათათურქმა სამხედრო კარიერაში წარმატებას 1915 წელს მიაღწია, როცა ის თურქეთის მე-19 დივიზიის მეთაურად დანიშნეს და ბრწყინვალედ დაიცვა დარდანელის სრუტე ანტანტის შემოჭრისგან.

1918 წლის მუდროსის ზავმა ბოლო მოუღო იმ ბრძოლას, ოსმანთა იმპერიას ნაწილებად რომ შლიდა. ამან ანტანტას საშუალება მისცა, მოეხდინა თურქული ციხესიმაგრეების, მნიშვნელოვანი წყლის არტერებისა და სხვა ტერიტორიების ოკუპაცია, რომლებსაც მშვიდობისთვის საფრთხის შექმნა შეეძლო.

ოფიციალურად ის პრეზიდენტი გახლდათ, სინამდვილეში, უფლებამოსილებების წყალობით მუსტაფა ნამდვილ დიქტატორად იქცა. მან დაიწყო ქვეყნის გათანამედროვეობა და სეკულარიზაცია, კონსტიტუციურად გაყო სახელმწიფო და რელიგია. მუსტაფა ქემალი მხარს უჭერდა ქალთა ემანსიპაციას, მოახდინა თურქეთის ინდუსტრიალიზაცია, შექმნა სარკინიგზო ქსელი და სახელმწიფო სამრეწველო საწარმოები.

დუგლას მაკარტური

დუგლას მაკარტური. დუგლას მაკარტური არ გახლდათ დიქტატორი ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, რადგან ის არც ერთი ქვეყნის მმართველი არ ყოფილა. როგორც გაერთიანებული სამხედრო ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა, იაპონიასა და ამ ქვეყნის მიერ ოკუპირებულ მოკავშირეთა სამხედრო ძალებზე აბსოლუტური კონტროლი მოიპოვა.

იაპონიის ოკუპაციის დროს მაკარტურის ჯარებმა ქვეყანაში ბევრი რეფორმა ჩაატარეს. მაგალითისთვის, იმპერატორს ჩამოართვეს პოლიტიკური ძალაუფლება და პარლამენტს გადასცეს, გააფართოვეს ქალთა უფლებები, განახორციელეს მიწის რეფორმა, რითაც გააუმჯობესეს ფერმერების კეთილდღეობა. ცვლილებებმა ხელი შეუწყო ქვეყანას ძლიერი ეკონომიკის შექმნაში.

სერ სერეტსე კხამა. კხამა ხალხის მხარდაჭერის წყალობით ბოსტვანის პრეზიდენტად სიკვდილამდე დარჩა. მთავრობა უსაზღვროდ ენდობოდა მას და უდიდესი ძალაუფლება მიანიჭა.

კხამა აქტიურად გამოდიოდა ბეჩუალენდის დამოუკიდებლობის მხარდამჭერად, რომელიც მოგვიანებით რესპუბლიკა ბოსტვანა გახდა. ქვეყანამ დიდი ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა 1966 წელს მოიპოვა, კხამა კი მისი პირველი პრეზიდენტი გახდა.

მმართველობის პერიოდში მან განამტკიცა ეკონომიკა და მსოფლიოში ყველაზე სწრაფად განვითარებადი გახადა. კხამას ექსპორტზე გაჰქონდა ბუნებრივი რესურსები, მიღებულ მოგებას კი ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვისა და განათლების განვითარებაში დებდა, რაც ეკონომიკის უფრო სწრაფად განვითარებას უწყობდა ხელს. კხამამ ქვეყანაში უფასო საყოველთაო განათლება შემოიტანა.

აბდალა II. იორდანიის ტახტზე ასვლამდე აბდალა იორდანიის სამეფოს სპეციალური დანიშნულების ჯარების სარდალი იყო. ის ტახტის მემკვიდრეთა სიაში არ იყო, თუმცა 1999 წელს მეფე ჰუსეინმა აბდალა ახალ მემკვიდრედ დაასახელა. ეს გადაწყვეტილება კრიტიკულად მიიღეს, რადგან აბდალა ამ საპასუხისმგებლო პოსტისთვის შეუფერებლად მიაჩნდათ. ახალმა მეფემ ყველას დაანახა, რომ მას შეეძლო ქვეყნის მტკიცე ხელით მართვა.

აბდალა ავითარებდა ეკონომიკას და ახორციელებდა სოციალურ რეფორმებს — შემოიღო საბაზრო ვაჭრობა და გააუმჯობესა ქალების მდგომარეობა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო ვაჭრობა
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983

9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge